

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenashvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsauri**

ტექსტი  
გიორგი ჩოჩიშვილი

TEXT  
**Giorgi Chochishvili**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქტორი  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზალ წერაფარძე, ინგა ალავიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, გივი კიკვაძე,  
ალექსანდრე კოტორაშვილი, იური სომოვი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Givi Kikvidze,  
Aleksandre Kotorashvili, Yuriy Somov, www.sportphoto.ge**

პარტნიორი  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

# ვიეტორ პრატასიუპი

2012

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია  
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION




ახალი ფოთის ისტორია ნავსადგურით დაიწყო. ასეთი იყო დიდი ერის-კაცის ნიკო ნიკოლაძის მართლაც გენიალური გეგმა. როცა ამ გეგმამ ხორცი შეისხა, ფოთს შემდეგ, ცხადია, გემი და ნავი არ დაჰკლებია. ამავე დროს, მაშინდელი მწირი კომუნიკაციების პირობებში, საპორტო ქალაქში ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაც მანამდე უჩვეულო და ახალი იყო საქართველოს-თვის. ეს ღირსება, ეს განსაკუთრებულობა ქალაქმა მომდევნო პერიოდშიც შეინარჩუნა და მისი მდიდარი წიაღი ხანდახან მაინც კვლავ წარმოშობდა გამორჩეულ მოვლენებსა და ადამიანებს. ასე იყო სპორტშიც.

აღარ ვიტყვით საქართველოში ფეხბურთის შემოსვლის ისტორიაზე, ბორის პაიჭაძესა და ჩვენს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონზე დავით ციმაკურიძეზე. მაგრამ ასევე ფოთში დაიბადა და გაიზარდა ჩვენი პირველი და ჯერვერობით ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში ვიქტორ კრატასიუკიც, ჭეშმარიტი ფოთელი, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მშობლიურ ქალაქს.

როგორც ჭიქა წყალში შეიძლება გამოიცნო ზღვა, ხანდახან ერთი, განსაკუთრებული შემთხვევაც საკმარისია, რომ მთელი სიგრძე-სიგანით დაინახო ადამიანი. ეს უცარი შთაბეჭდილება არ იქნება ისეთივე მდიდარი, როგორიცაა საერთოდ ადამიანის ბუნება, მაგრამ თვით ერთ ეპიზოდშიც კი შეიძლება შენიშნო რაღაც მთავარი და გამორჩეული კაცის ხასიათიდან. ვიქტორ კრატასიუკის ამბავიც ერთი ასეთი შემთხვევით გვინდა დავინყოთ, რომელიც მეზღვაურმა ზურაბ ჭყანიამ გაიხსენა:

„1977 თუ 78 წელი იყო. ჩემი პატარა და-ძმა მყავდა წაყვანილი ზღვაზე. ჩემზე ათი და ცამეტი წლით უმცროსები არიან. ხელით ჩამყავდა ზღვაში, როცა საშინელი კივილი ატყდა. ბავშვები მაშინვე ამოვიყვანე წყლიდან. ხელს არ ვუშვებ. თან იქით ვიყურები, სადაც ჩოჩქოლია. მოხუცი ქალი კიოდა, ვაიმე, შვილო... თურმე ბავშვი ჩაითრია ზღვამ. ვიტია უკვე ყვინთავდა. მონახა, ახლოს იყო ღრმულებში ჩათრებული და გამოიყვანა. ბავშვი უგონოდ იყო. იქვე სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა, ექიმებიც მზად იყვნენ, მაგრამ ვიქტორმა ბავშვი ჯერ მათ არ ანდო. პირვე-





ლადი დახმარების კურსები ჰქონდა გავლილი და თვითონ დაუწყო გონიერ მოყვანა. ცოტა ხანში ბავშვმა პირიდან წყალი ამოასხა. მერელა გადასცა ვიტიამ იგი ექიმებს.

მაგრამ ქალმა ისევ ატეხა კივილი, ჩემი სტუმარიო. შვილიშვილის ელ-დით ბებიას სტუმარი ბავშვი დავინწყებოდა. პატარები ექვსი-შვიდი წლისანი იქნებოდნენ. ვიტია ისევ შევარდა წყალში და ის ბავშვიც მალე გამოიყვანა. ტუჩები უკვე გაშავებული ჰქონდა, მაგრამ ვიტია არ მოეშვა — გაუკეთა მასაჟი და ყველაფერი, რაც იცოდა და შეეძლო. როგორც იქნა, ბავშვმა თვალები გაახილა და ვიქტორმა მერე ჩააბარა ექიმებს — წყლიდან გვიან ამოვიყვანე და თქვენი შევლა სჭირდებაო. მათ რაღაც ნემსი გაუკეთეს. ბავშვს პირიდან ყვითელი სითხე წამოუვიდა და გარდაიცვალა. იმ ნემსის შემდეგ, ეტყობა, ღვიძლი გაუსკდა.

ვიქტორმა ექიმებს ბავშვი წაართვა და პატარა ბავშვივით აღრიალდა. შემდეგ წყალში შევიდა, პატარა დაბანა, პირი მოსწმინდა, ნაპირზე დაასვენა და შემდეგ გაატანა სასწრაფოს... ვიქტორ კრატასიუკი სხვანაირი ადამიანი იყო. ასეთები ერთეულები არიან...“

მრავალი წლის წინათ მომხდარ ამბავთან ერთად ესეც უეჭველად მართალი მითხრა მისმა მეზობელმა, მეზოლვაურმა ზურაბ ჭყონიამ... რა დასამალია, ჩვენს სხვა ოლიმპიურ ჩემპიონებთან შედარებით, ვიქტორზე გაცილებით ნაკლები ინერებოდა პრესაში და ბევრი ვერაფერი მოვიძიეთ, მაგრამ ერთად რომ შეკრიბო და გაიაზრო მისი მეზობლების, მეგობრებისა და, საერთოდ, ყველა იმ ადამიანის წაამბობი, რომლებიც ვიქტორს კარგად იცნობდნენ, თითქმის ცხადად წარმოიდგენ: მის ხასიათში უცნაურად იყო შერწყმული ვაჟეაცობა, თავდადება, დიდი სიამაყე და ასეთივე თავმდაბლობა. მაგრამ მას, ამავე დროს, ახასიათებდა უკიდურესი, დამლუპველობის ზღვრამდე მისული დაუდევრობა და ფატალური ხელჩაქნეულობა, მისგან გამოწვეული მძიმე შედეგებით; და, რა თქმა უნდა, დიდი სპორტული ნიჭიერება. ოლიმპიურ ჩემპიონს, რომელიც მართლაც ამაყად და ძალიან სწრაფად დასრიალებდა წყალზე, სხვების გარდა, ეტყობა, საკუთარი თავის

დახმარებაც სჭირდებოდა, რომ ისევე მყარად გაჩერებულიყო ცხოვრების მოტორტმანე ზედაპირზე, როგორც წყალზე სჩვეოდა.

თავის თავს ყოველთვის ნამდვილ ფოთელს, კუნძულელს ეძახდა. ფოთში ვინ არ იცის კუნძულის რაიონი ანუ „ოსტროვი“. ის მდინარე რიონის დელტის ორ ტოტს შორის იყო მოქცეული. ქვემოდან ზღვა აკრავს და აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც. წყალდიდობისას ქალაქი იტბორებოდა, რის გამოც რიონის მარჯვენა ტოტი დააშრეს და მდინარე ნაბადის უბნისკენ გადააგდეს. ასე რომ, მშრალი ხიდი, თბილისის გარდა, ფოთსაც აქვს, რომელიც რიონის 25-იოდე მეტრის სიგანის შენაკადზე გადიოდა. მოკლედ, კუნძული აღარ არის, სახელწოდება კი დარჩა... როცა მიუნხენის ოლიმპიადაზე მიემგზავრებოდა, ვიქტორი ფოთელებს და თავის „ოსტროველებს“ შეჰპირდა: როცა მედალს ავიღებ, წყალში ამოვავლებ და მერე მთელ ფოთს, მთელ „ოსტროვს“ დაგანახებოთ. მარტი ფოთმა კი არა, მთელმა საქართველომ, მთელმა მსოფლიომ ნახა მთელი სიცხადით, როგორ შეასრულა პირობა მიუნხენში ოლიმპიურმა ჩემპიონმა...

ფოთი პატარა ქალაქია და ვიქტორ კრატასიუკს ყველა იცნობდა, მაგრამ „კუნძულელებს“ განსაკუთრებულ პატივში ჰყავდათ, დაახლოებით ისე, როგორც მისი კოლეგა კოსტია — მეზღვაური მოლდოვანკაზე და პერესიაზე ოდესაში, ბერნესის ცნობილი სიმღერის მიხედვით.

უკვე ვთქვით, ფოთი დიდი ადამიანის დიდი ძიებისა და აღმოჩენის შედეგია. როგორც ნავსადგურის ყოფილმა უფროსმა, ვალერი გეგიძემ თავის დროზე მითხრა, ფოთს, თუ კარგად მიხედავენ, ყველა საზომით ისეთივე პერსპექტივა აქვს, როგორც როტერდამის უდიდეს ნავსადგურს. მაგრამ, ამის გარდა, ფოთი სხვა რამითაც იყო გამორჩეული: კარგა ხნის მანძილზე უდიდესი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის სანიჩბოსნო მექა იყო. ამიტომ ის, რომ საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში სწორედ ამ ქალაქიდანაა, სრულიად კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ფოთელმა სპეციალისტებმა მითხრეს, ქალაქში საბჭოთა კავშირის ყველა საუკეთესო ნიჩბოსანი ჩამოდიოდა თითქმის ყველა რესპუბ-



ლიკიდან. ხშირად, ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე, საწყლოსნო სპორტის 2000 და უფრო მეტი წარმომადგენელი იყრიდა თავს. მაშინ ქალაქში ყოველი მეორე ნიჩბოსანი დადიოდა, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ასევე ბაიდარებით და კანოეთი მოასპარეზე ხალხი. სად იყო მაშინ ფოთში ამდენი სასტუმრო. სპორტსმენები ძირითადად კერძო სახლებში ცხოვრობდნენ და სიმრავლის გამო მორიგეობით ჩამოდიოდნენ საქართველოში.

ზამთარში გაუყინავი საწყლოსნო ბაზები სანატრელი იყო რუსეთისა და, საერთოდ, ჩრდილოელგანისათვის. ფოთში კი იმ დროს შვიდი სანიჩბოსნო ბაზა არსებობდა; იყო „ვოდნიკის“, „დინამოს“, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სხვა ბაზები. საქართველოსაც ჰქონდა თავისი რესპუბლიკური ბაზა. მათგან უმთავრესი იყო „ვოდნიკი“ რიონზე, სწორედ კუნძულის საზღვარზე, სადაც დაიწყო ვარჯიში მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. ის, ფაქტობრივად, მოსკოვმა ააშენა, მაგრამ ჩვენი პორტის ბალანსზე ირიცხებოდა. ბაზა ერთდროულად 120-140 კაცს ემსახურებოდა. იქ ყველაფერი იყო: ელინგგები, სასტუმრო, სამედიცინო კაბინეტები...

სხვა ბაზები ძირითადად მდინარე კაპარჭინაზე მდებარეობდა. როგორც ცნობილმა სპეციალისტმა გიორგი (ჯოჯი) ბუკიამ ამიხსნა, რიონს, იმის გარდა, რომ მასზე მთელი წლის განმავლობაში შეიძლებოდა ვარჯიში, ის უბირატესობაც ჰქონდა, რომ მძიმე და ნალექიანი წყლით გამოირჩევა. ასეთ პირობებში წავარჯიშები ნიჩბოსანი შემდეგ მსუბუქ წყალზე უკეთეს შედეგებს აღწევს. კაპარჭინას წყალი კი უფრო მსუბუქია.

ბატონი გიორგის თქმით, ნიჩბოსნობა აქ ძირითადად ომის შემდეგ დაიწყო. 50-იან წლებამდე ჯერ ე.წ. სახალხო ნიჩბოსნობა იმართებოდა არასპორტული ნავებით. პორტის მაშინდელი უფროსი გიორგი ვატაევი თვითონაც ჩემპიონი გახდა ასეთ შეჯიბრებაში. სპორტული ნიჩბოსნობა 1954-55 წლებიდან იღებს სათავეს. პირველი ბაიდარა და კანოე ფოთში მეზღვაურმა ბორია ციცუარავამ ჩამოიტანა ოდესიდან. ზღვაში, ნისქვილკომბინატის უკან ვარჯიშობდნენ. იქ 50-მეტრიანი საცურაო „აუზიც“ იყო ბეტონის ბლოკებით შემორაგული. ფოთში ნიჩბოსანთა სპორტის ფუძემდებლად შეიძლე-

ბა ჩაითვალოს ოთარ ბუაძე, რომელიც ჯერ ფიზიულტურის მასწავლებელი იყო მე-4 საშუალო სკოლაში, შემდეგ — სპორტსკოლის დირექტორი.

1957-59 წლებში ნიჩბოსანთა გუნდები უკვე ჩამოყალიბებული იყო და საქართველოს პირველობები იმართებოდა.

საკავშირო ინტერესი, ცხადია, ადგილობრივსაც ძალიან უწყობდა ხელს. ახალგაზრდა ნიჩბოსნები კარგად ხედავდნენ, რა მძიმე შრომა იყო საჭირო ნარმატებების მისაღწევად. ყველა წამყვანი სპეციალისტიც მუდმივად, ნახევარ-ნახევარი წლით ფოთში იყო ხოლმე და უკეთეს სკოლას ვერ ინაგრებდი. საგანგებოდაც კი ინვევდნენ მათ. გიორგი ბუკიას თქმით, სპორტის დიდმა მოამაგემ გიორგი სიხარულიძემ, რომელიც ფოთსაც დიდ ყურადღებას აქცევდა და სათითაოდ იცნობდა აქაურ მწვრთნელებს, მოსკოვიდან სხვადასხვა ვადით ორჯერ მოიწვია მრავალი ჩემპიონის აღმზრდელი არკადი ნიკოლაევი. აქვე ვიტყვით, რომ გიორგი სიხარულიძის კეთილი კვალი კარგა ხანს არ წაშლილა ფოთში.

იმ წლებში ქალაქში ნიჩბოსნობა განსაკუთრებით პოპულარული იყო და სპორტულ წავებს უამრავი მოზარდი ეტანებოდა. ამას, ცხადია, დროც უწყობდა ხელს. დღეს კი ერთი ბაიდარა, თუნდაც ერთადგილიანი, 8-10 ათასი დოლარი ღირს, აკადემიური ნიჩბოსნობის რვიანი — 36-38 ათასი. ამდენს ვინ გამოიმტებს...

ბევრი სპეციალისტის აზრით, რუსეთს ასე ძალიან იმიტომ მოაკლდა წარმატებები ნიჩბოსნობაში, რომ ჩვენი ბაზები დაკარგა. ახლა უცხოეთში დადიან სავარჯიშოდ, მაგრამ ასეთ მუქთა ბაზებს, თანაც ნახევარ-ნახევარი წლით, აბა, სადღა ნახავენ. ფოთი კი სწორედ მოსამზადებელი, ზამთრის პერიოდისთვის იყო ზედგამოჭრილი. შეჯიბრების წინა პერიოდში კი სიონის წყალსაცავზე სჯობდა მომზადება, რომელსაც 60-იანი წლების დასაწყისიდან იყენებდნენ... ცოტა უფრო მოგვიანებით, ზემოთქმული მშრალი ფაქტებით გაამაგრა მცხეთის სანიჩბოსნო სკოლის დირექტორმა ვიტალი გრძელიშვილმა, რომელიც ის-ის იყო დაბრუნებულიყო გლაზგოს 2007 წლის ახალგაზრდული შსოფლიო ჩემპიონატიდან აკადემიურ ნიჩბოსნობა-



ში; შოტლანდიაში გერმანიას ფინალში 18 ნავი ჰყავდა, იტალიას — 11 და მათგან ხუთმა გაიმარჯვა, რუსეთიდან კი მხოლოდ ორმა ნავმა გააღწია ფინალში და ვერც ერთი მეხუთე ადგილზე წინ ვერ წავიდა. გლაზგოში თვით პატარა ესტონეთსაც კი ჰყავდა ჩემპიონი პრესტიულ რვაადგილიანებში. ეს ჩვენთვისაც კარგი მაგალითია.

ალბათ საჭიროა ზემოთქმულს ისიც დავუმატოთ, რომ დღეს ფოთში, ნიჩბოსნობაში დიდი ტრადიციების მქონე ქალაქში, ერთადერთი ბაზალაა დარჩენილი — „მართვე“, და ისიც მისმა ხელმძღვანელებმა დიდი მოწადინებით პირდაპირ მკვდრეთით აღადგინეს. გურამ თურმანიძის მიერ დაარსებული სადგური განადგურებული იყო და ჩვენი დროის უტყვი სიმბოლო, არყის ქარხნად გადაკეთებული საცურაო აუზი „უმშვენებდა“ გვერდს. ერთადერთი სანიჩბოსნო ბაზაც „პოლიტიკური“ დახმარებით გადარჩა: რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის შუამდგომლობის შემდეგ განათლების მაშინდელმა მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ მას 150 ათასი ლარი გამოუყო.


„მართვეს“ დირექტორმა შალხაზ მიქაელ ისიც მითხვა, რომ ფოთში ნიჩბოსნობა განსაკუთრებით 1970-76 წლებში ყვაოდა. იქ უნდა აეშენებინათ უფრო კომფორტული საკავშირო ოლიმპიური ბაზაც, მაგრამ შემდეგ სასრ კავშირის მთავარმა მწვრთნელმა ნიჩბოსნობაში ვიქტორ სილაევმა სხვაგვარად გადაწყვიტა: ეს საოცნებო სპორტული ობიექტები, ჯვრის წყალსაცავი რომ აშენდა, იმის ქვემოთ, რეჩხის წყალსაცავზე და საბერიოზე ააგებინა. იქ ჩვენი ნიჩბოსნებიც ვარჯიშობდნენ ხოლმე, მაგრამ აშკარა პრიორიტეტი, ცხადია, საკავშირო ნაკრებებს ჰქონდათ.

აი, ასეთ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა ვიქტორ კრატასიუკი.

მამა, ივან კრატასიუკი, ციმბირიდან ჩამოუყვანიათ მშობლებს ოთხ და-ძმასთან ერთად და ფოთში დასახლებულან. ოჯახის უფროსი დაღუპულა და მარტო დარჩენილი ქალი, ხუთი ბავშვით, უკრაინიდან ჩამოსულ შერაბაკზე გათხოვილა. ვიქტორს ბიძაც დარჩა დედის მხრიდან, ანდრეი შერაბაკი, რომელიც ახლაც ფოთში ცხოვრობს, მამის მხრიდან კი — უკ-



ვიქტორ ერატასიუკი  
თავის თავს ყოველთვის  
ნამდვილ ფოთელს, კუნ-  
ძულელს ეძახდა. ფოთში  
ვინ არ იცის კუნძულის  
რაონი ანუ „ოსტროვი“. ის  
მდინარე რიონის დელტის  
ორ ტოტს შორის იყო მოქ-  
ცეული. ასე რომ, მშრალი  
ხიდი, თბილისი გარდა,  
ფოთსაც აქვს, რომელიც  
რიონის 25-ოდევე მეტრის  
სიგანის შენაკადზე გადი-  
ოდა. მოგლედ, კუნძული  
აღარ არის, სახელწო-  
დება კი დარჩი... როცა  
მუნხენის ოლიმპიადაზე  
მიემგზავრებოდა, ვიქტო-  
რი ფოთელებს და თავის  
„ოსტროველებს“ შეპირ-  
და: როცა მედალს ავიღებ,  
წყალში ამოვავლებ და  
მერე მთელ ფოთს, მთელ  
„ოსტროვს“ დაგანახებოთ.



გიორგი ბუკია:  
„მე ავერი მატკავაზე  
ადრე გავიცანი ვიქტორი,  
მგონი, 1965 წლის ზაფ-  
ხულს. მის მშობლებსაც  
ვიცნობდი. უბრალო და  
მშრომელი ოჯახი ჰქონ-  
დათ. ცოტა ხნის შემდეგ,  
როცა შევამჩნია, რომ  
ცალი თვალი არ ჰქინდა,  
ვურჩივ, საბაიდარო ნიჩ-  
ბოსნობაზე გადასულიყო.  
აკადემიურში სპორტსმენი  
ზურგულება უსვამს ნიჩას  
და უკან ხშირად იყურება,  
ბაიდარასა და კანოეში კი  
პირიქითაა. ამიტომ ვურ-  
ჩივ, იქიდან დაიწყო მისი  
კრიერა საბაიდარო ნიჩ-  
ბოსნობაში. შემდეგ ცოტა  
ხანს გურამ თურმანიძეს-  
თან ვარჯიშობდა. შემდეგ  
მოხვდა საბოლოოდ ავერი  
მატკავასთან.“

ვე აღარავინ. ანდრეის თქმით, ვიქტორის მამა ძალიან ბეჯითი, მშრომელი კაცი ყოფილა, კარგად სცოდნია თევზაობა და დურგლობა, თან პორტში ბუქსირზე მუშაობდა მექანიკოსად. ივან კრატასიუკი თავისი ხელობით ძალიან ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ნავიც ჰქონია და ხშირად გადიოდა ზღვაში სათევზაოდ. მესაზღვრებისგან ნებართვას იღებდა და ქამბალასა და კეფალს იჭერდა, ზოგს — სახლისთვის, ზოგს — გასაყიდად. დედა მეზღვაურთა ინტერკლუბში მუშაობდა. მკაცრი, მაგრამ ყურადღებიანი ქალი ყოფილა. ჩვენზე ისე ზრუნავდა, როგორც ვიქტორზე, — ამბობენ მისი მეგობრები, — ხანდახან საწვრთნელ შეკრებაზეც ჩამოაკითხავდა ხოლმე. საერთოდ, ძალიან კარგი, თბილი, მოსიყვარულე ოჯახი ჰქონდათო.

ვიქტორიც ისე იზრდებოდა, როგორც ჩვეულებრივი ფოთელი ბიჭი. „მაშინ უფრო ცოცხალი ბავშვები იყვნენ. იმ დროს თვით ტელევიზორიც კი ზოგიერთმა თუ იცოდა, ისიც ყურმოვერით. ძალიან კარგი, საყვარელი ბიჭი იყო“, — იხსენებს ბიძამისი ანდრეი და ამასვე მიდასტურებს ყველა, მათ შორის, ჩემი ფოთელი კოლეგა ვანო ნარმანია, რომელიც ბავშვობიდანვე იცნობდა კრატასიუკების ოჯახს: ჩხუბისთავი ბიჭი არ ყოფილა. პატიოსნებითა და მომთმენი ხასიათით გამოირჩეოდაო. მე-4 რუსულ სკოლაში სწავლობდა და საშუალო მოსწავლედ ითვლებოდა.

ექვსიოდე წლის იქნებოდა ვიქტორი, როცა დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. შემთხვევით მეზობლის გოგომ ჩხირით თვალი გამოსთხარა. ნარმოიდგინეთ ბავშვის მდგომარეობა, მაგრამ ოჯახმა ღირსეულად გაუძლო განსაცდელს. კეთილი ხალხი იყო და შემდგომ პირდაპირ შექსპირისეული ამბავი განვითარდა, ოღონდ სხვაგვარი დასაწყისით და მსგავსი ფინალით — ორ ოჯახს შორის, შერიგება იქით იყოს, ნათელმირონობაც კი ჩამოვარდა.

მოგვიანებით, როცა ვიქტორი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ისეთი აზრიც გაჩნდა, რომ ამაში ერთგვარად მისმა ფიზიკურმა ნაკლმაც ითამაშა გარკვეული როლი — მან სხვა სფეროში სცადა თავისი უპირატესობის დამტკიცება, თითქოს კომპენსაციას ეძებსო და, თავისი მდგომარეობიდან გა-



მომდინარე, პირდაპირ არნახული შრომისმოყვარეობით მიიწევდა ოლიმპიური ტრიუმფისკენ. ეს აზრი, მრავალ კეთილ სიტყვასთან ერთად, ახლაც გამიმეორა მისმა ბავშვობის მეგობარმა ზაურ დოლბაიამ. ნათლიობის ამბავიც მანვე მითხრა.

ვიქტორის მამის, ივან კრატასიუკის ოჯახი მაშინდელ უდანოვის ქუჩაზე დასახლებულა. ჯერ ზღვასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ზღვამ თანდათან წაიღო ხმელეთის 300 თუ 400 მეტრის სიგანის ზოლი და ზემოთ ამოიწიეს.

სხვათა შორის, წყალმა ბორის პაიჭაძის სახლიც შთანთქა. რიონის გადაგდების შემდეგ ეს შემოტევა შენელდა, მაგრამ არ შეჩერებულა. მადიანმა ზღვამ იპოდრომიც მოინელა.

გენერალ ბოლქვაძის ეზოში ივანეს ტიპური რუსული ხის სახლი აუშენებია იგივე უდანოვის, დღევანდელ თამარ მეფის ქუჩაზე. გენერალი მაშინ იქ აღარ ცხოვრობდა. იმ სახლში გაატარა ვიქტორმა ბავშვობა თავის დასთან, ალასთან ერთად, და ახალგაზრდობაც — თვით ოლიმპიურ ჩემპიონობამდე. იმ ეზოში ასწლოვანი მუხა დგას. ვანო ნარმანია, რომელმაც გამოაქვეყნა ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ ოლიმპიურ ჩემპიონთან, წერდა: ვიქტორს მისთვის უთქვამს, რომ ამ სახლს, ამ მუხას არავითარ შემთხვევაში არ გაყიდდა, რადგან ძალიან უყვარდა. უურნალისტი წინასწარ ჰოროსკოპებს გასცნობია და აღმოუჩენია, რომ ერთ-ერთი აღმოსავლური ჰოროსკოპით, მუხა ვიქტორის ხე ყოფილა.

გაყიდა ის მშობლიური სახლი და ეზო ვიქტორ კრატასიუკმა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, როცა გაჭირვებამ და გამუდმებულმა სმამ ერთად წაუჭირა ყელში. ეზოში ახლა სხვისი პატარა სახლი დგას. მუხაც იქვეა...

ვიქტორისთვის სპორტულ ნავზე ადრე ჯერ მამის ნავი იყო. შემოგთავაზებთ ფრაგმენტს არჩილ გოგელიას ჯერ კიდევ 1972 წელს გამოქვეყნებული ნარკევიდან „ვიქტორ კრატასიუკი“.


„ხშირად დაპყვებოდა მამას სათევზაოდ. ადრე შეეჩინა წყალს, ნავებს, კატარლებს. საათობით უსმენდა გამოცდილ, მრავლისმომსწრე მეთევზე-ებს. დილის ბინდბუნდში იკარგებოდა ნავი უკიდეგანო ზღვაში. პატარა ბი-



ვაჟამორის შამა ძალიან  
ბეჭით, მშრომელი ვაცი  
ყოფილა, კარგად სცოდნია  
თვეზაობა და დურგლობა,  
თან პორტში ბუქსირზე  
მუშაობდა მექანიკოსად.  
იგან კრატასუკი თვითის  
ხელობით ძალიან ბევრ  
ადამიანს ეხმარებოდა.  
ნავიც პქონია და ხშირად  
გადიოდა ზღვაში სათვე-  
ზაოდ. დედა მეზღვაურთა  
ინტერჯლუბში მუშაობდა.  
მეაცრი, მაგრამ ყურადღე-  
ბიანი ქალი ყოფილა.



ერთად რომ შეერიბოდა  
გაიაზნო ვიქტორის  
მეზობლების, მეგობრე-  
ბისა და, საერთოდ, ყველა  
იმ ადამიანის ნამბიბი,  
რომლებიც ვიქტორს კარ-  
გად იცნობდნენ, თითქმის  
ცხადად ნარმოიდენ: მის  
ხასიათში უცნაურად იყო  
შერწყმული ვაჟეაცობა,  
თავდადება, დიდი სიამაყე  
და ასეთივე თავმდაბლობა.





ჭი კი იდგა ნაპირთან და დიდხანს მოთმინებით ელოდა მამის დაბრუნებას. მამა ხან მხიარული გადმოდიოდა ნავიდან, ხანაც დაღვრემილი. ზღვა მუდამ როდია გულუხვი... მერე, როცა წამოიზარდა, მისი ჯერიც დადგა. ახლა ერთად გადიოდნენ ზღვაში, ერთად თევზაობდნენ, ერთად ინაწილებდნენ ჭირსა და ლენის. მამისთვის ეს იყო ჩვეულებრივი საქმიანობა, ხოლო ბიჭისთვის, ვიქტორ კრატასიუკისთვის, ნამდვილი დღესასწაული. თანდათან ისე გათამამდა, მამას ნიჩბებს ალარ ანებებდა. შეეჩინა ბავშვური, სუსტი ხელებით ნავის დამორჩილებას.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭმა ნაცნობ მღებავს ცისფერი საღებავი გამოართვა და გაუწაფავი ხელით უსწორმასწოროდ დააწერა ნავის ფერდს „ფოთი“. ის ფოთელი იყო, აქ დაიბადა, აქ გაიზარდა და ეს ქალაქი ყველაზე მეტად უყვარდა“.

გიორგი ბუკია აკადემიური ნიჩბოსნობის სპეციალისტია. პირველად მასთან მისულა სავარჯიშოდ 16 წლის ვიტია.

„მე ავერიზე, ავერი მატკავაზე ადრე გავიცანი ვიქტორი, მგონი, 1965 წლის ზაფხულს. მის მშობლებსაც ვიცნობდი. უბრალო და მშრომელი ოჯახი ჰქონდათ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა შევამჩნიე, რომ ცალი თვალი არ ჰქონდა, ვურჩიე, საბაიდარო ნიჩბოსნობაზე გადასულიყო. აკადემიურში სპორტსმენი ზურგსუკან უსვამს ნიჩაპს და უკან ხშირად იყურება, ბაიდარასა და კანოეში კი პირიქითაა. ამიტომ ვურჩიე. ერთი გოგო იყო ჩამოსული ფიზკულტურის ინსტიტუტიდან, გვარად ზუვევა. საბაიდარო ნიჩბოსნობაში უნდა გაევლო პრაქტიკა. იმ გოგოს მივაბარე ვიქტორი. იქიდან დაიწყო მისი კარიერა საბაიდარო ნიჩბოსნობაში. შემდეგ ცოტა ხანს გურამ თურმანიძესთან ვარჯიშობდა. შემდეგ მოხვდა საბოლოოდ ავერი მატკავასთან.“

ვიქტორს თავიდან დიდი მონაცემები არ ეტყობოდა, უფრო ოთხი-ხუთი წლის შემდეგ გამოჩნდა ყველაფერი. მაგაზე ნიჭიერებიც მყოლია, მაგრამ დიდი სპორტსმენები ვერ გახდნენ. თუმცა ძალიან შრომისმოყვარებამ მიიყვანა იმ შედეგებამდე, თუმცა არავის ეგონა, თუ ოლიმპიურ ჩემპიონობამდე

მიაღწევდა.“ მანამდე კი, ვანო ნარმანიას თქმით, „ვოდნიკის“ ბაზაზე ათენებდა და აღამებდა და წყალშიც თევზივით გრძნობდა თავს.

განსხვავებული აზრისაა მისი მწვრთნელი ავერი მატკავა.

ჯერ აუცილებლად უნდა ვთქვათ, თუ რა იყო ვიქტორ კრატასიუკის-თვის მატკავა. ბიძამისი ანდრეი შეკრაბაკი, რომელიც, მისი მტკიცებით, ივანეს გარდაცვალების შემდეგ ცდილობდა მამობა გაეწია დისშვილისთვის, აღიარებს, რომ სპორტში, და არა მარტო სპორტში, ავერი მშობელ მამასა—ვით ზრუნავდა ვიქტორზე.

მამა კი გაცილებით გვიან გარდაეცვალა ვიქტორს, 1992 წელს, როცა საოქანო თევზმჭერზე მუშაობდა რიგით მეზღვაურად და ეს სამწუხარო ცნობა ათასობით კილომეტრის დაშორებით მიიღო. ცხადია, ვეღარ ჩამოასწრო ფოთში...

ცოტ-ცოტა იქნებ სხვებმაც შეაშველეს ხელი, მაგრამ ის, რომ ვიქტორ კრატასიუკი, საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ნიჩბოსნობაში, ავერი მატკავას დამსახურებაა. ის მანამდე მასთან იყო ყველან — როცა ჯერ კიდევ ყმაწვილს ხმელეთიდან აძლევდა მითითებებს, როცა მასთან ერთად იჯდა ნავში და 1971 წელს ბრნენიცვალედ მოიგეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, როცა ვიქტორი მიუნხენის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა... იქიდან დაბრუნებულს კი მოსკოვის აეროპორტში დახვდა...

„ავერი იყო, რაც იყო, მთლიანად მაგაზე იყო გადამკვდარი“, — ეს ანდრეი შეკრაბაკის სიტყვებია.

საქართველოში მასწავლებლისა და შეგირდის ურთიერთობა არავისგან ესწავლებათ. აქ არ არის საჭირო ლიტერატურული პასაუები. ამიტომ ჯერ ის ვთქვათ, თუნდაც მოკლედ, თვითონ ვინ იყო ვიქტორის მწვრთნელი.

17 წლის ავერი მატკავამაც პირველად „ვოდნიკს“ მიაკითხა სავარჯიშოდ. აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში იყო დაბადებული და ფოთში ცხოვრობდა. თუ შემდგომ მის მონაფეს, ვიქტორს, მრომისმოყვარეობას უქებდნენ, ამ მხრივ მისი მწვრთნელი პირდაპირ საარაკო მენიჩბე იყო. ბევრჯერ



მისადგომზე, ფიცარნაგზე დაცემულა, ისეთი დაღლილი ამოსულა ნავიდან. ასეთ სპორტსმენს ყველა პატივს სცემს, მით უფრო, თუ სათანადო ნიჭიც მოსდევს. თუმცა ამ თვისებამ შემდგომში ცუდი სამსახურიც გაუწია (ამაზე ქვემოთ). 1962 წლიდან მოყოლებული, მატკავა მთელი ათი წლის მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. ეს საკამად არაორდინარული შემთხვევაა, რადგან ჩვენს სპორტსმენებს საკავშირო ნაკრებში ყოველთვის გამლილი ხელებით არ ხვდებოდნენ. მრავალჯერ აუღია საკავშირო ჩემპიონატებისა და პირველობების მედლები არაოლიმპიურ დისციპლინაში — 10 ათას მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატების პროგრამაშიც შედიოდა.

კლასიკურ დისციპლინებში კი მისი ყველაზე დიდი მიღწევა იყო მეორე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში, ბუდაპეშტში. საერთაშორისო რეგატებშიც აღნევდა ნარმატებებს. მაგალითად, ოთხადგილიანი ბაიდარით სხვა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად დიდი საერთაშორისო რეგატა მოიგო დანიაში. საერთოდ, ერთადგილიან ნავებში უფრო გამოკვეთილი ლიდერები იყვნენ და არიან, უფრო ინდივიდუალისტი, მხოლოდ საკუთარ თავს დაყრდნობილი ხალხი. ისინი სხვებს ნარმატებთან ახლოს არ უშვებენ. დანარჩენებს კი ხშირად ცდიდნენ ორ ან ოთხადგილიან ნავებში უკეთესი სინქრონულობის მისაღწევად. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველ და მეორე ადგილზე გასული სპორტსმენები ერთ ნავშიც რომ ჩასვა, ანუ ორადგილიანში, შეიძლება არავითარი ხეირი არ გამოვიდეს.

ავერი მატკავამ ხუთი წელი იცხოვრა ქუთაისში, სადაც ნიჩბოსნობის ასაღორძინებლად მიინვიეს. შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. გადატანილმა ავადმყოფობამ საგრძნობლად დაუქვეითა მეხსიერება. როცა ვიქტორზე ვსაუბრობდით, დიდ პაუზებს აკეთებდა, ისე ყვებოდა, თითქოს პატარ-პატარა ნათელი სურათები გაიხსენაო იმ მართლაც ნათელი პერიოდიდან, როცა ისიც და მონაფეც დიდი წარმატებებით ახარებდნენ გულშემატკივრებს.

ვიქტორ კრატასიუკი:  
„ჩემი „ნაცნობიბა“ ბაი-  
დარასთან დაიწყო კური-  
ოზით: პირველ ნაბიჯებს  
ვდგამდი ნიჩბოსნობაში.  
ახალგაზრდა სპორტსმე-  
ნისთვის მწვრთნელის შე-  
ქებაზე ძვირფას რა უნდა  
იყოს. პოდა, მეც, ცოტა არ  
იყოს, გავთამამდი. ერთხე-  
ლაც ბაიდარა შევაცურე  
რიონში. ვგრძნობდი,  
მწვრთნელი ნაპირიდან  
თვალს იწ მაცილებდა.  
ამიტომ „აკრძალული“ სიჩ-  
ქარე ჩავრთო, ბაიდარამ  
„მიუცხოვა“ თუ თავად ვერ  
მოგახერხე ბალანსირება,  
უცებ წყალში არ აღმოვ-  
ჩნდი? ერთი სიტყვით,  
კარგა ბლობად ვყლაპე  
რიონს წყლი. ზამთარი  
იყო, აკანკალებული ძლიერს  
გამოვედი ნაპირზე. აი,  
მაშინ პირველად მივწედი,  
რომ წყლის სტიქიასთან  
და ბაიდარასთან ხუმრობა  
არ შეიძლება.“





„შევხედე თუ არა, მომეწონა. მაშინ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვიყავი საბაიდარო ნიჩბოსნობაში. ბევრი კარგი სპორტსმენი მყოლია, მაგრამ მაგაზე კარგი მონაცემები არავის ჰქონია“, — იხსენებს დამსახურებული მწვრთნელი და დანარჩენს მისი კოლეგები უმატებენ, მაგალითად, მაღლაზ მიქაძე და სხვები. „ვიქტორი ავერიმ გამოძერნა. ნიჩბის მოსმაც, ვარჯიშიც, ტექნიკაც მან ასწავლა, თორემ თავიდან ცოტა ზარმაცი იყო. ნიჭი კი ჰქონდა, მაგრამ ავერი ცხარე ცრემლებამდე ავარჯიშებდა. თვითონ ვიქტორიც კარგი ბიჭი იყო, სამეცნიეროდაც ვარგოდა და ვაუკაცობითაც გამოირჩეოდა. სუთა ქართულით ლაპარაკობდა, მეგრული კილო-თი და ქართველობდა“, — გვითხრა საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ნიკურაძემ, რომელიც ჩვენი შეხვედრიდან ცოტა ხანში გარდაიცვალა.

აქ ავერი მატკავას ძველი მონოლოგიც მინდა მოვიყვანო არჩილ გოგელიას წიგნიდან:

„ფოთში, რიონის ნაპირზე, მწვრთნელს არ გაუჭირდება ფეხბურთელებისა და ნიჩბოსნების ამორჩევა ძალ-ლონით სავსე, მკვირცხლ, დაუდეგარ და მზისგან გარუჯულ ბიჭებში. ბევრი მათგანი თითქოს დიდი სპორტის-თვის არის დაბადებული. ვიქტორი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი აღმოჩნდა მათ შორის. როცა ჩვენთან, წყალჯომარდობის სადგურში მოვიდა, თექვსმეტი წლისა იყო. თავიდანვე თვალში მომივიდა — ასაკის კვალობაზე მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, ერთიანად დაძარღვული — უცებ შენიშნავდით, შავიზღვისპირული და რიონის „სკოლა“ ჰქონდა გავლილი, რაც მთავარია, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს იჩინდა, იცოდა, რაც უნდოდა. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მივჰვდი, ბიჭი ზოგიერთივით გასართობად არ იყო მოსული და დროთა განმავლობაში ურიგო ნიჩბოსანი არ უნდა დამდგარიყო. მერე და მერე ეს აზრი უფრო განმიმტკიცდა. ვიქტორი თანატოლებზე მეტს ვარჯიშობდა. არც დრო ენანებოდა, არც ძალ-ლონე. ასე რომ, ხშირად მიხდებოდა „შემეზღუდა“. ნიჭი, უნარი ჩალის ფასად არ ლირს, თუ შრომა-გარჯით არ არის განმტკიცებული. ვიქტორს ამის სწავლება, ასეთი



შეგონებები არასოდეს დასჭირვებია. ვერ წარმოიდგენთ, მწვრთნელს რა-  
რიგ უადვილდება მუშაობა შრომისმოყვარე, მიზანსნრაფულ მოწაფესთან.  
ვიქტორის ბაიდარა მუდამ ყველაზე კარგად იყო მოვლილი. როგორც უკვე  
გითხარით, ვარჯიში არ ეზარებოდა, ნიჭი და მონაცემები კი უხვად ჰქონდა  
მომადლებული. ამიტომ არ გასჭირვებია მაღალი შედეგების ჩვენება...“

მერელა აღმოჩნდა, რომ ვიქტორი უბრალოდ ნიჭიერი კი არა, ნამდვი-  
ლი ტალანტი იყო, — ამტკიცებენ სპეციალისტები. ჰქონდა გლუვი, გამძლე  
და დაუღლელი კუნთები, მაგრამ, რელიეფური მუსკულატურის არქონის  
მიუხედავად, ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო. ნიჩაბიც კი გაუტეხავს მოს-  
მის დროს. მიუნხენის ოლიმპიადაზე ერთმა გერმანელმა მეტოქემ, მთლად  
დაკუნთულმა, გაკვირვებულმა ხელებით მიანიშნა კიდეც — ასეთი თხელი  
კუნთების პატრონმა როგორ გაიმარჯვეო. „საერო“ უნდა სვაო“, — რუ-  
სულად გაეხუმრა ვიქტორი. „საერო“, მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში  
ყველაზე იაფთასიანი ღვინო იყო ჩვენთან. თუმცა, იმ დროს ვიქტორისთვის  
დალევა, ასევე სიგარეტის მონევა, დისციპლინისა და სპორტის რეჟიმის  
მოყვარული მწვრთნელის ხელში, რომელიც პირდაპირ თავს დაჰყოფინებ-  
და მოწაფეს, რაიმე სერიოზული პრობლემა არ ყოფილა.

აქ ერთი ეპიზოდიც უნდა უნდა გავიხსენოთ. მცხეთელმა ჯიმშერ ხო-  
შაბაევმა გვითხრა: „ვიქტორი მართლაც ჯიგარი, ოქრო ბიჭი იყო, ყველაზე  
შესტკიოდა გული: ვიღაცას ავადმყოფი ჰყავდა სახლში, ვიღაცას ახლო-  
ბელი მოუკვდებოდა — ყველაფერს განიცდიდა. ხელი რომ გაგეჭრებოდა,  
იმაზეც წუხდა. ის, რომ ჩვენგან ეგ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ალალად  
დაიმსახურა თავისი ვაჟეაცობით. ისიც მახსოვს, ფსკოვში საკავშირო ჩემ-  
პიონატი რომ მოვიგე, ჩემზე მეტად ის გაგიჟდა სიხარულით, პირდაპირ  
ნავთან მომვარდა — ხომ გეუბნებოდიო.

სხვა ყველაფერთან ერთად, ერთი ძალიან კარგი საქმე გაუკეთა ავერი  
მატკავამ. ვიქტორს თვალი აწუხებდა და ექიმებმა თქვეს, მისთვის ფიზი-  
კური დატვირთვა აღარ შეიძლებაო. ფსკოვში კარგი კლინიკა იყო. იქ მიიყ-  
ვანა და გააკეთებინა ოპერაცია ავერიშ თავის მოწაფეს, თორებმ მისი სპორ-

ტული კარიერა აღარ იქნებოდა. ვიქტორიც ყველაფერს უჯერებდა თავის მწვრთნელს. რომ ეთქვა, უკულმა იარეო, მთელ დღეს ასე ივლიდა. ძალიან ხალისიანი და კარგი ბიჭი იყო, მხიარულებაც უყვარდა და საქმეც. ოჯახიც ძალიან კარგი ჰყავდა. ფოთში ყოფნისას მამამისი თევზს არ გვაკლებდა”.

თვითონ ჯიმშერ ხოშაბაევიც წლების მანძილზე ერთ-ერთი უძლიერესი კანოისტი იყო საბჭოთა კვეშირში. ამიტომ მის შეფასებას, რომ იტყვიან, წონა აქვს. მან 1966 წელს მეხიკოში წინაოლიმპიურ კვირეულშიც გაიმარჯვა უნგრელ ტომაშ ვიხმანთან ერთად, მაგრამ ეს ზოგიერთებს არ ეპიტნავათ და ოლიმპიადის მიღმა დატოვეს. გიორგი სიხარულიძემ, რომელმაც, თავისი გვარის მიუხედავად, ძარღვიანი კახური გინება იცოდა, ამისთვის ხმამაღლა „დალოცა“ საბჭოთა ნიჩბოსნობის მესვეურები და ჩარევაც სცადა, მაგრამ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

…ელასტიკური კუნთების გარდა, ვიქტორს ფართო, ტევადი ფილტვებიც საშუალებას აძლევდა რთულ დისტანციაზე ბოლომდე შეენარჩუნებინა საჭირო ენერგია (მიუნხენის ოლიმპიადაზე და, საერთოდ, მანამდე საბაიდარო და კანოეთი ნიჩნოსნობაში დისტანცია 1000 მეტრი იყო, მერე 500-მეტრიანიც დაუმატეს). მაგრამ, ძალისა და გამძლეობის გარდა, სპეციალისტების თქმით, ვიქტორი საოცრად გრძნობდა ნიჩაბს, ნავის სრიალს, რაც უადგილებდა მას მაქსიმალური სისწრაფის მიღწევას. ყველაფერთან ერთად, თვითონ იყო საკუთარი თავის ფსიქოლოგი, თანაც პირდაპირ განსაცვიფრებელი. თვითონაც არ იცოდა როგორ, თავისითავად, ბუნებრივად გამოსდიოდაო. მძიმე დაღლილობისგან თითქოს ინსტინქტურად ახერხებდა განტვირთვას და ვარჯიშის გაცდენაც შეეძლო, თუ ამის საჭიროებას გრძნობდა.

და კიდევ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კრატასიუკს ნიჩბის მოსმის ბრწყინვალე ტექნიკა ჰქონდა.

— ამდენი ხალხი, ნიჩბოსანი თუ სპეციალისტი ჩამოდიოდა ფოთში და ჩვენებიდანაც ვინმე ხომ უნდა გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონიო, — თითქოს ხუმრობით ამბობენ ფოთელი სპეციალისტები. მაგრამ ის კი ნამ-



ბაქურიანში

დვილად კანონზომიერია, რომ სწორედ ასეთი მონაცემებით დაჯილდოებულმა მენიჩბემ დალაშქრა ოლიმპიური მწვერვალი. მწვრთნელში კი, უკვე ვთქვით, ძალიან გაუმართდა და სპორტისთვის თითქოს ტრივიალურმა, მაგრამ აუცილებელმა ამ ორმა ფაქტორმა შვა მიუნხენის ტრიუმფი.

თვითონ ვიქტორი სიცილით იხსენებდა თავის დებიუტს საბაიდარო ნიჩბოსნობაში. კიდევ ერთი ეპიზოდი იმ ძველი ნარკვევიდან:

„ჩემი „ნაცნობობა“ ბაიდარასთან დაინყო კურიოზით: პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ნიჩბოსნობაში. ახალგაზრდა სპორტსმენისთვის მწვრთნელის შექებაზე ძვირფასი რა უნდა იყოს. ჰოდა, მეც, ცოტა არ იყოს, გავთამამდი. ერთხელაც ბაიდარა შევაცურე რიონში. ვგრძნობდი, მწვრთნელი ნაპირიდან თვალს არ მაცილებდა. ამიტომ „აკრძალული“ სიჩქარე ჩავრთე. ბაიდარამ „მიუცხვოვა“ თუ თავად ვერ მოვახერხე ბალანსირება, უცებნყალში არ აღმოვჩნდი?! ერთი სიტყვით, კარგა ბლომად ვყლაპე რიონის წყალი. ზამთარი იყო, აკანკალებული ძლიერი გამოვედი ნაპირზე. აი, მაშინ პირველად მივხვდი, რომ წყლის სტიქიასთან და ბაიდარასთან ხუმრობა არ შეიძლება.“

ვიქტორმა ძალიან სწრაფად, ვარჯიშის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ გაიმარჯვა საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში ერთადგილიანი ბაიდარით. კიდევ წელიწადი და ერევანში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკი-ადაზე მესამე იყო. მაშინ თვალის ოპერაცია ჯერ გაკეთებული არ ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ იქვე ორადგილიანი კანოეთი მეორე იყო ფოთელთა წყვილი — ზურაბ ხოფერია და ნოდარ ჩარაევი, ხოლო საქართველოს კანისტთა გუნდმა ესტაფეტაში გაიმარჯვა. ამ ოთხეულში იყო კიდევ ერთი ფოთელი მოსწავლე გულთაზ ადამია. ეს მოხდა 1968 წელს. სულ სამი წლის შემდეგ კი ფოთელ ნიჩბოსანთა ერთბაშად ორი წყვილი ზეიმობდა დიდ გამარჯვებას სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე.

მანამდე ვიქტორი უკვე რამდენიმე წელი გამოდიოდა საქართველოს ნაკრებისა თუ თავისი სპორტსაზოგადოების სახელით და უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა საკავშირო შეჯიბრებებში. მასზე ათი წლით



უფროსმა მატკავამ, რომელმაც მოწაფე ჯერ სხვასთან ჩასვა ნავში, ყურადღებით ადევნებდა თვალს და, ცხადია, ხელს უწყობდა მის აღმავლობას. მხოლოდ სამი წლის შემდეგ გადაწყვიტა ვიქტორთან ერთად მოესვა ნიჩაბი. ვიქტორი შემდეგ ამბობდა: „ორადგილიანი ბაიდარა ჩემთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ეტყობა, მიდრეკილება გვქონდა, თუ შეიძლება ითქვას, „კოლექტიური“ ნიჩოსნობისკენ. თანაც, ზუ დაგავიწყდებათ, ბაიდარაში ჩემთან ერთად იჯდა კაცი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემდი და რომელმაც ყველაფერი მასწავლა, რაც შეეძლო. ეს კაცი ავერი მატკავა გახლავთ“.

რესპუბლიკის ნაკრებშიც პერსპექტიულ სპორტსმენს სხვა შესანიშნავი მწვრთნებებიც დახვდნენ, პირველ რიგში, მცხეთელი ვლადიმერ რაზმაძე. პირველად მან ჩამოიტანა სპორტული ნავები საქართველოში და მცხეთაში, 50-იან წლებში, შაქრო ხუბეროვთან ერთად, ძლიერი სანიჩოსნო ბაზაშემნა.

მაგრამ ის, რასაც ჰქვია დიდი სპორტი, ვიქტორ კრატასიუკისთვის მაინც 1971 წელს დაიწყო.

ეს წელი, საერთოდ, იყო კულმინაცია იმ უზარმაზარი შრომისა, რომელსაც ეწეოდნენ საქართველოს ნიჩოსნობის სპეციალისტები და სპორტსმენები მრავალი წლის მანძილზე მცხეთაში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში და, პირველ რიგში — ეს ალბათ არავის ეწყინება — ფოთში. ამას ვამბობ თუნდაც სასპარტაკიადო შედეგებიდან გამომდინარე. ეს შეჯიბრება კი საბჭოთა სპორტის კულმინაცია იყო ყოველთვის. ყველა რესპუბლიკა, მოსკოვი და ლენინგრადი, განსაკუთრებული ძალით ცდილობდა ეწევნებინა თავისი სპორტული პოტენციალი და ოთხნიანი შრომის შედეგი. იქ შემთხვევითი გამარჯვება გამორიცხული იყო... ორი პატარა ქალაქი — მცხეთა და ფოთი — ლირსეულ მეტოქეობას უწევდა ერთმანეთს ჩვენი სპორტის საკეთოლდებულოდ. თუ ფოთი უმთავრესად ფეხბურთის სიმბოლო იყო საქართველოში, მცხეთა ნიჩოსნობისა გახლდათ. იყო დრო, როცა მცხეთელები საკავშირო სპარტაკიადაზე მოასპარეზე საქართველოს ნიჩოსანთა ნაკრების 70 პროცენტს შეადგენდნენ, შემდეგ კი ფოთმა დაამ-





სპორტული ნიჩბოსნობა 1954-55 წლებიდან იღებს სათავეს. მირველი ბაიძარა და კანოე ფოთში მეზღვაურმა ბოჩა ციცქარავამ ჩამოიტანა რდესიდან. ზღვაში, ნისქვილკომბინატის უკან გარჯიშობდნენ. ფოთში ნიჩბოსანთა სპორტის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს ოთარ ბუაძე, რომელიც კერ ფიტულტურის ბასხავლებელი იყო მე-4 საშუალო სკოლაში, შემდევ — სპორტსკოლის დირექტორი.

ყარა საკუთარი ბალანსი საკავშირო შეჯიბრებებზე. მაყურებელი ფოთის სახელს ასე თუ ისე შეეჩინა, ჩვენთვის ძვირფას, მათთვის უცხო „მცხეთის“ გაგონებაზე კი, თანაც ხშირ-ხშირად, სიცილს ვერ იკავებდნენ. მცხეთაში ოთხი სანიჩბოსნო ბაზა იყო, ახლა ერთიღაა. ჯერ კიდევ 1937 წელს „სახალ-ხო ნიჩბოსნობისთვის“ დაარსებული ბაზა თავისი უნიკალური, მე-18 საუ-კუნის შენობით, რა თქმა უნდა, გაიყიდა...

სსრკ ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე საქართველოს მენიჩხებმა შე-უძლებელი შეძლეს და სახტად დატოვეს მეტოქებიც და, საერთოდ, სპეცი-ალისტებიც. 1000-მეტრიან დისტანციაზე მატკავასა და კრატასიუკის ბაი-დარით გამარჯვების გარდა, კანოეთი იგივე წარმატებას მიაღწიეს ზურაბ ხოფერიამ და ნოდარ ჩარაევმა; გარდა ამისა, ბრინჯაოს მედლები მოიპო-ვეს ჩვენი ოთხადგილიანი ბაიდარის ეკიპაჟის წევრებმა, რომელთა შორის, ცხადია, ვიქტორი და მისი მწვრთნელიც იყვნენ სუბერაშვილთან და მაქ-სიმენკოსთან ერთად. კიდევ ერთი ფოთელი ნიჩბოსანი ნინა ლუცენკო მე-ხუთე იყო ფინალში ერთადგილიანი ბაიდარით, ხოლო თბილისელი ვასილ მაკაროვი — კანოეთი; აკადემიურ ნიჩბოსნობაში პირველი მენიჩბის გივი ნიკურაძის მეთაურობით მესამე ადგილი მოიპოვეს ჩვენი რვიანის წევრებ-მა. ხოლო საქართველოს უმესაჭო ათხადგილიანი ნავი (ნავში პირველი მე-ნიჩბე ჯუმბერ ჭანტურია იყო, ე.ნ. ზაგრებნოი) მოოთხე ადგილზე გავიდა...

ბატონი ავერი ამბობს, რომ ისინი ამ შეჯიბრებისთვის ძალიან კარგად მოემზადენენ. მომზადების სეზონში სამი ათასი კილომეტრი გაიარეს. წარ-მოიდგინეთ, ბაიდარით აქედან მოსკოვამდე რომ გაცურო, უკან გამობრუნ-დე და სადღაც როსტოკში დაამთავრო მომზადება.

„დისტანციაზე არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება, — ბაიდარით შეჯიბრების ნიუანსებს მიხსნის მწვრთნელი, — რაიმე რომ შეუსწორო, უფ-რო აებნევა გზა-ევალი. წინასწარ ვირჩევდით ტაქტიკას და ერთმანეთს ვუ-თანხმებდით, როგორ უნდა გვემუშავა დისტანციაზე“.

სასპარტაკიადო მომზადების გზა ტრადიციული იყო: ზამთარ-გაზაფ-ხულზე — ფოთში, დანარჩენი მთელი ექვსი თვე — სიონის წყალსაცავზე,



ამის შემდეგ კი — რუსულ წყალზე, ანუ ხიმკის წყალსაცავზე (აკადემიურ ნიჩბოსნობას „სერებრიანი ბორმა“ უმასპინძლა). ჩვენმა ნიჩბოსნებმა სრულად წარმოადგინეს ამ დიდი, ნაყოფიერი და კარგად გააზრებული შრომის შედეგი.

სპარტაკიადაზე მატკავა-კრატასიუკის გამოსვლა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე იყო. არადა, ფავორიტებად მაინც მსოფლიო ჩემპიონთა ორი ტანდემი ითვლებოდა — უკრაინელები შაპარენკო და სტეცენკო, აგრეთვე რუსები — კოსტენკო და კონონოვი. მაგრამ წინასწარ გაცურვაში ათასმეტრიან დისტანციაზე საქართველოს ნავი საუკეთესო იყო. ფინალში კი სალაპარაკო აღარაფერი დარჩა. შეხედეთ თუნდაც წმინდა ტექნიკურ შედეგებს: 1. საქართველო — 3 წუთი და 50,34 წამი; 2. ყაზახეთი — 3 წუთი, 52,25 წამი; 3. რუსეთი — 3 წუთი, 52,74 წამი. როგორც ხედავთ, ჩვენმა ორკაციანმა გუნდმა უახლოესი მეტოქე თითქმის 2 წამით ჩამოიტოვა, რაც ნავის 2 სრული კორპუსია. ორადგილიანი ბაიდარის სიგრძე კი 6,5 მეტრია. ხოფერიამ და ჩარაევმა კი რუსეთისა და მოსკოვის ნავები ჩამოიტოვეს უკან.

„ავერისა და ვიქტორის გამარჯვება კანონზომიერი გახლდათ. ეს უკვე კარგად ჩამოყალიბებული წყვილი იყო, — მეუბნება ძველი ნიჩბოსანი და ფოთში კარგად ცნობილი სპორტის მუშაკი ვალერი კუპრეიშვილი, — აი, ხოფერიასა და ჩარაევის ნარმატება კი ცოტა ვინმეს თუ წარმოედგინა. საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გივი ჭედიამ დიდი სიურპრიზი შესთავაზა ყველას. ჩვენი ორადგილიანი ბაიდარის ეკიპაჟი აშკარად სჯობდა დანარჩენებს, მაგრამ კანოისტებმა ისეთი ტექნიკა აჩვენეს, რომ შემდეგ მას ფიზიულტურის ინსტიტუტში სწავლობდნენ წლების მანძილზე.“

საერთოდ, ეს იყო მართლაც შესანიშნავი, პერსპექტიული გუნდი — ხოფერია, ჩარაევი და მაკაროვი სულ 19-20 წლისანი იყვნენ, ვიქტორი კი — მხოლოდ 22-ის.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადა საქართველოს ნიჩბოსანთა ბენეფიცია გამოდგა. შესაძლოა, სრული ტრიუმფიც ყოფილიყო,

მაგრამ როცა სასპარტაკიადო ტურნირი ფინიშისკენ „მიცურავდა“, აღმოჩნდა, რომ საბაიდარო და კანოეთი ნიჩბოსნობაში (გუნდურ ჩათვლას ვგულისხმობ) დიდი სენსაცია მწიფდებოდა — საქართველო პირველობით იმუქრებოდა. შემდეგ, თავის დასაზღვევად, იძულებული გახდნენ აკრძალული ხერხი გამოეყენებინათ ჩვენს ნინააღმდეგ: კანოისტთა ერთ-ერთი უკანასკნელი გაცურვის შედეგები გააუქმეს და ბოლოს საქართველოს ნაცი ჩაუთვალეს წაგება. აյ არ მინდა დაჩაგრული და შევიწროებული ადამიანის ლოგიკას მივმართო, მაგრამ სპარტაკიადა ჩვენ რომ მოგვეგო, ნიჩბოსნობის ბევრი დიდმოხელისა და მწვრთნელის თავი დაცვივიდებოდა მოსკოვსა თუ, საერთოდ, რუსეთის ფედერაციაში. თუმცა, ჩვენთვის გუნდური მესამე ადგილიც დიდი წარმატება იყო.

ის დრო მართლაც ჩვენი ნიჩბოსნობის „ოქროს ხანა“ იყო. მას სათავეში ედგა არყადი არხანგელსკი, უალრესად განათლებული ადამიანი, რომელიც მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ვარჯიშის გარდა, მუდამ ცოდნის გაღრმავებისკენ მოუწოდებდა. „იყითხეთ, იკითხეთო“, — სიცილით გაიხსენა არხანგელსკის მოწოდებები მცხეთელმა ვალიკო გირდამ, ცნობილმა ნიჩბოსანმა და სპეციალისტმა, რომელმაც ძველ ამბებზე მომითხოვ. უფროს მწვრთნელებზე (აკადემიურ ნიჩბოსნობას მაშინ ოთარ ხომერიკი ხელმძღვანელობდა) უკვე ვთქვით. მათთან ერთად დაუღალავად შრომობდა ჩვენს სპეციალისტთა მთელი რაზმი. მოკლედ, სპორტის და კონკრეტულად ნიჩბოსნობის თვალსაზრისით კარგი დრო იყო.

ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინ ჩვენი სპორტსმენები საკავშირო ნაკრების გამონაცვალი წავიდეთ ვარჯიშობდნენ და ასპარეზობდნენ. წავები ფანერისა იყო. პლასტმასისა 80-იანი წლების დასაწყისიდან შემოვიდა — მსუბუქი და სწრაფი...

ნიჩბოსანთა ამ შესანიშნავი პლეადიდან შემდგომი მწვერვალისკენ მხოლოდ ვიქტორ კრატასიუკმა შეძლო გაეგრძელებინა გზა. დანარჩენები კი სხვადასხვა მიზეზების გამო ჩამოშორდნენ ამ საჩემპიონო რბოლას, თუმცა, ვიქტორის გარდა, კიდევ რამდენიმე ჩვენი სპორტსმენი ახლოს



იყო ოლიმპიური ნაკრების კართან. საკავშირო ნაკრებში კი მაშინ ყველანი ირიცხებოდნენ, სპარტაკიადაზე წარმატების შემდეგ — მით უმეტეს.

ბედმა და საკუთარმა ნიჭმა, საკუთარმა თვისებებმა მათგან ვიქტორი გამოარჩია. ეს სახელი ხომ ისედაც გამარჯვებას ნიშნავს.

სპარტაკიადის შემდეგ ნიჩბოსნობის ვეტერანს ავერი მატკავას საკუთარი თავის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ვიქტორის მწვრთნელი და მეწყვილე ოლიმპიურ ბატალიებს ეგრეთ წოდებული გადაწვრთნის გამო გამოეთიშა.

არ ვიქნები მართალი, რომ არ ვთქვა სპორტის და, კონკრეტულად, ნიჩბოსნობის ზოგიერთ არცთუ სასიამოვნო მხარეზეც, რაც განსაკუთრებით მტკიცნეული იყო მკაცრი სადოპინგო კონტროლის შემოღებამდე.

„დიდი საბჭოთა კავშირი“ — ასე იწოდებოდა მაშინ ჩვენი საერთო ქვეყანა და რადგან დიდი იყო, ბევრი ახალგაზრდა ცდილობდა გამოეყენებინა თავისი შანსი სპორტში და, უხეშად უნდა ვთქვა, საამისო „მასალა“ საკმარისად იყო. ბევრი უგულო მწვრთნელის ხელში კი, თუ ყველაფერს გაუძლებდი, ოლიმპიური დიდება გელოდა, გამოხატული მაშინდელი მწირი მატერიალური ასპექტით, ანუ ბინით, მანქანით და დღევანდელი საზომით ძალიან მცირე ოლიმპიური პრემიით. თუ ვერ გაუძლებდი, ჩამოგწერდნენ და შენს შემცვლელს ათასს იპოვიდნენ. ჩვენ მხოლოდ ჩემპიონების ვინაობა ვიცით, თორემ კიდევ რამდენი იყო უდავოდ ნიჭიერი ათლეტი, რომელიც არასწორ წვრთნას შეენირა და დაფინის გვირგვინის სანაცვლოდ ხეიბრობა ან ქრონიკული ავადმყოფობა ერგო. ეს უფრო ისეთ დისციპლინებში ხდებოდა, რომლებშიც გამძლეობას განსაკუთრებული ფასი აქვს.

„საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყველა ვარჯიში ჩვენთვის შეჯიბრების ტოლფასი იყო, ისე გუნდში ვერ მოხვდებოდი. მე რვაადგილიან ნავში ვიჯე-ქი და ეს რვა კაცი 150 სპორტსმენიდან უნდა აერჩიათ. ვინც გადაიღლებოდა და „მოკვდებოდა“, ფეხებზე ეკიდათ — სხვებს იოლად გამონახავდნენ. სპორტსმენის „გადაწვა“ ჩვეულებრივი ამბავი იყო. თან მაშინ მედიკამენტები არ მოწმდებოდა“, — ზემოთქმულს გვიდასტურებდა გივი ნიკურაძე.



არ იფიქროთ, რომ სპორტსმენები იმ „მატერიალური ასპექტისთვის“ ღვრიდნენ ზღვა ოფლას. სპორტი, თუ ის შეიყვარე, ერთგვარი ჯანსაღი ნარკოტიკია, ან იქნებ გამარჯვების მოსურნე სულის გამოძახილი. მატერიალური მხარე კი შემდეგ ავსებს მოკრძალებულად ჩემპიონის ბიოგრაფიის საამაყო ფურცლებს.

ამ წესის სიმძიმე თავისი მდიდარი სპორტული ბიოგრაფიის ბოლო, გადამწყვეტ ეტაპზე დააწვა ავერი მატკავას. მას ეგრეთ წოდებული მკერდის გაგანიერება დაემართა, როცა მკერდის ძვლები გახსნას იწყებს. წარმოიდგინეთ, ასეთი მშრომელი სპორტსმენი საკავშირო ნაკრების ამა თუ იმ უდიერი მწვრთნელის ხელში და შედეგი გასაგები იქნება. მაგრამ უარესი ამბებიც ხდებოდა. ერთხელ ასეთ წესებავლილი, თანაც სხვადასხვა „წამახალისებელი“ მედიკამენტით გაჭყეპილი 300 ნიჩბოსანი ქალის შემდგომი ბიოგრაფია გამოიკვლიეს. მათგან მხოლოდ ხუთმა პროცენტმა შობა ჯანმრთელი ბავშვი. ასეთ დროს ზოგჯერ პირდაპირ საშინელებები ხდებოდა, რაზეც აქ არ უნდა ვისაუბროთ — ეს „ექსტრემალური“ მედიცინისა და კრიმინალისტიკის თემაა.

მაგრამ საქართველოს სპორტსმენები ამ მხრივ სხვებზე უფრო დაზღვეულები იყვნენ. მოგეხსენებათ, ჩვენში, ძირითადად მამაკაცებს ვგულისხმობ, რა უფრო ფასდება პირველ რიგში და ბევრი მათგანი საეჭვო აბებს მალულად იშორებდა თავიდან. ამიტომ სამემკვიდრეო გართულებაც ფაქტობრივად არ ჰქონიათ. ამ მხრივ მაინცდამაინც არც ქალები დაზარალებულან.

ავერი მატკავა, უბრალოდ, გადაიღალა, ანუ გადაღალეს მოუზომავი წვრთნით და ოლიმპიადაზე — მის ბოლო იმედზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. საკავშირო ნაკრების ექიმმა მას საბოლოო განაჩენი გამოუტანა. მაშინ კი დღის წესრიგში დადგა ვიქტორ კრატასიუკისთვის ახალი მეწყვილის შერჩევის საკითხი. ეს ყოველთვის დიდი პრობლემაა, რომლის შესახებ ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ.

როგორც ვალიკო გირდამ მითხრა, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელის თვალი და ალლო. მაგრამ ზოგჯერ სპორტსმენები,



თუ გარკვეული გამოცდილება აქვთ, პირველი გაცურვებიდან გრძნობენ, გამოადგებიან ერთმანეთს თუ არა. ავერი მატკავა კი არავისზე ნაკლები მწვრთნელი არ იყო. „ნიკოლაი გორბაჩოვი მართლაც მომწონდა, კარგი ტექნიკა ჰქონდა. საკავშირო ნაკრებში, სადაც უკვე მწვრთნელად ვმუშაოდი, მოვითხოვე, რომ ვიტიასთან ერთად დაესვათ ნავში. დამიჯერეს და მათი ნავი ისე გასრიალდა... მოკლედ, ძალიან კარგად“, — ეს ეპიზოდი კარგად ახსოვს მწვრთნელს.

თვითონ ბელორუსი გორბაჩოვიც, მაშინდელი სხვა ნიჩბოსნების მსგავსად, სანახევროდ ფოთში იყო გაზრდილი და აქაურობა უყვარდა. რაც შეეხება ვიქტორის პერსპექტივას ერთადგილიან ბაიდარაში, აქ ალექსანდრ შარაპენკო ითვლებოდა იმ პერიოდში უდავო ლიდერად, თანაც დამსახურებულად და სხვას, მით უმეტეს, საქართველოს ნარმომადგენელს, მართლაც საოცრებები უნდა მოეხდინა, რომ საკავშირო ნაკრებში მისთვის ადგილი წაერთმია. თანაც ვიქტორი სხვაზე, მით უმეტეს, მეწყვილეზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ თავზე.



მოკლედ, ამ ახალი წყვილის პერსპეტივას ფაქტობრივად აღარაფერი ემუქრებოდა მიუნხენის ოლიმპიადისკენ მიმავალ გზაზე, მით უმეტეს, რომ ოლიმპიურ წელს მათ დამაჯერებლად მოიგეს საკავშირო ჩემპიონატი. მაგრამ მთავარი თვითონ ოლიმპიადა იყო. მიუნხენის პერიპეტიებს გადმოგცემთ თვითონ ვიქტორ კრატასიუკის სიტყვებით, რომლებიც თავის უკანასკნელ, მაგრამ საამისოდ მეტისმეტად ნააღრევ ინტერვიუში უთხრა ვანო ნარმანიას. ეს ფრაგმენტი უცვლელად მომაქვს 1997 წლის 28 აგვისტოს „ფოთის უწყებანის“ ნომრიდან:

„გერმანიაში სპორტსმენები ადრე ჩავედით, რომ ნორმალურად მოგვეხდინა აკლიმატიზირება, — იგონებს ვიქტორი, — ოლიმპიური სოფელი, იდეალური პირობები, შინაგანად ვგრძნობ, რომ ჩემპიონი გავხდები. პოტენციურ მონინააღმდეგებ უნგრელებს გვისახელებენ, ვერკევეით მათ ტაქტიკაშიც, ისიც ვიცით, რომ გადამწყვეტ ბრძოლას ისინი ფინიშიდან 250 მეტრიდან იწყებენ. დადგა ნანატრი წუთები. სამჯერ შემამოწმა დოპინგის კომისიამ. სტარტის წინ შიშისგან თუ ზედმეტი ემოციებისგან მუხლები ამიკანკალდა, ჩემი პარტნიორი კოლია გორბაჩივი იყო. შესანიშნავი სპორტსმენი ბელორუსიდან. იდეალურად შევეწყვეთ ერთმანეთს. წუთში 140 ნიჩბის მოსმას ვასწრებდით. დება სტარტის მომენტი, მაგრამ ფალსტარტი დაფიქსირდა. წინ 1000 მეტრია. მე და კოლიას გადაწყვეტილი გვაქვს თავიდანვე დავწინაურდეთ. არ გვინდა ჩვენს წინ ვინმე ვიხილოთ. სტარტი... ვმუშაობთ თავდაუზოგავად, ვასწრებთ ყველას, გვერდში ჩვენი პოტენციური მონინააღმდეგე, ბულგარელები მოგვდევენ, და მაშინ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ბულგარელებმა ფინიშისთვის ბრძოლა არა 250 მეტრიდან, არამედ 300-დან დაიწყეს. ჩვენ ორი ნიჩბის მოსმა დავკარგეთ, თითქმის გაგვისწორდნენ კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს დროებითი აღმოჩნდა, ფინიში პირველებმა გადავჭრით, მონინააღმდეგე თითქმის ნახევარი კორპუსით ჩამოგვრჩა. მოვეშვი, უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. კოლია მექანიკურად მაინც უსვამს ნიჩაბს. ძლიერ ვაჩერებ... ავდივართ კვარცხლბეკზე, გვაჯილდოებენ ოქროს მედლებით. სული სიამაყით მევ-





სება, ყველაზე მაღლა სსრ კავშირის დროშა ფრიალებს, ისმის ჩვენი ჰიმნი. მრავალრიცხოვანი უურნალისტებიდან ერთ-ერთი რუსულად მეკითხება: „ტელევიზიის საშუალებით ვის გადასცემდი სალამსო“. მე დაუფიქრებლად ვუპასუხე: „ფოთელებს, კუნძულის უბნელებს-მეთქი“. შემდეგ ჩემი ოქროს მედალი წყალში გავრცეცხე. ეს მომენტი ზუსტად დააფიქსირა უურნალმა „ოგონიოკმა“ და მიჩვენებს სიძველისგან ოდნავ გახუნებულ, ამოჭრილ ფოტოს. მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტში ჩემი პირველი მწვრთნელი ავერი მატკავა დამხვდა. მართალი გითხრათ, არ ველოდი. სიხარულისგან ცას ვენიე.

შემდეგ დგება, სახლში შედის და ორიოდე წუთში ბრუნდება. ხელში სამლიტრიანი გაბზარული მინის ქილით თავისი სპორტული მიღწევების დამადასტურებელი ჯილდოები მოაქვს. ქილაში ხელს ვყოფ და სათითაოდ ამომაქვს ისინი.

— ესეც ოლიმპიური ოქროს მედალი, — მეუბნება იგი, — მაგრამ რატომდაც ყველაზე უფრო ეს მიყვარს, — და მიჩვენებს ერთ-ერთი იტალიური ფირმის მიერ სუფთა ოქროსგან დამზადებულ სამკერდე ნიშანს წარწერით — „ვიქტორ კრატასიუკს, 1972 წლის მიუნხენის XX ოლიმპიადის გამარჯვებულს...“

ტყუილად არ ვახსენეთ საქართველოს სანიჩბოსნო ბაზების როლი საბჭოთა ნიჩბოსნების მომზადებაში. მიუნხენის ოლიმპიადაზე თითქმის აბსოლუტური იყო მათი გამარჯვება ბაიდარებითა და კანოეთი ასპარეზობაში. ჩვენი წყვილის გარდა, ერთადგილიანი ბაიდარებით პირველები იყვნენ ალექსანდრ შაპარენკო და იულია რიაბჩინსკაია, ორადგილიანი კანოეთი — შესაბამისად ჩესიუნასი და ლომინოვი, ასევე პინაევა და კურიშკო ქალებში. ოთხადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაშიც საბჭოთა კვარტეტმა გაიმარჯვა. მხოლოდ შეუპოვარმა რუმინელმა ივან პაცაივინმა, ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ერთადერთი ოქროს მედალი გამოჰვივა მათ ერთადგილიანი კანოეთი. ასეთი წარმატება საბჭოთა ნიჩბოსნებს მეტი აღარ ჰქონიათ.

ნიკოლაი გორბაჩივი და  
ვიქტორ კრატასიუკი  
ვარჯიშზე

აქვეა სათქმელი, რომ იულია რიაბჩინსკაია, რომლის სახელობის დიდი მემორიალი იმართებოდა ხოლმე, მომდევნო წელს ფოთში დაიღუპა. ასეთი ტიტულების მქონე მენიჩქეს მოულოდნელად ნავი ამოუტრიალდა და წყალში აღმოჩნდა. ზამთარი იყო და ყინულივით ციცმა წყალმა სპორტსმენის გასურებული ორგანიზმის სასიკვდილო სპაზმი გამოიწვია.

კრატასიუკი-გორბაჩოვის ნავმა მიუნხენის ოლიმპიურ არხში წინასწარ გაცურვაში კილომეტრიან დისტანციაზე 3 წუთი და 42,18 წამი აჩვენა, ნახევარფინალში — 3 წუთი და 30,69 წამი, ფინალში კი ამდენიც არ დასჭირვებიათ, ისე გაიმარჯვეს შედეგით — 3 წუთი და 31,23 წამი. ფოტოფინიშზე ლაპარაკიც არ ყოფილა, რადგან ეს იყო დამაჯერებელი გამარჯვება, რაზეც ლაპარაკობდა ვიქტორი. მეორე ადგილზე გასულმა უნგრელთა წყვილმა — იოუეფ დემეტ და იანოშ რატკამ 3 წუთი და 32 წამი აჩვენეს, პოლონელებმა — ვლადისლავ შუშკევიჩმა და რაფაელ პიზჩიძე კი კილომეტრიანი დისტანცია 3 წუთსა და 33,83 წამში დაფარეს.

ისინი ახალგაზრდები იყვნენ და ნინ მთელი სამყარო ჰქონდათ, მაგრამ ცხოვრებისეულ ლოგიკას არღვევდა იგივე ცხოვრებისეული სინამდვილე. მიუნხენის შემდეგაც საკმაოდ წარმატებულ გზაზე დაამთავრა თავისი კარიერა გორბაჩოვმა, ვიდრე კრატასიუკმა. შემდეგი ოლიმპიური ციკლისთვის ახალი წყვილის შესარჩევად კი საკავშირო წაკრების მწვრთნელებს საკმაოდ ბევრი ნიჩბოსანი ჰყავდათ, თუმცა მიუნხენის ტრიუმფატორებიც ერთხანს ერთად ცდილენ ძალებს — ევროპის ჩემპიონატზეც გამოვიდნენ და დიდ მსოფლიო რეგატაშიც, მაგრამ მეოთხე ადგილზე მეტს ვეღარ შესწოდნენ. თუმცა გზადაგზა ბევრი საკავშირო პირველობა ჰქონდათ მოგებული. მალხაზ მიქაძის თქმით, მაშინ სპორტსმენთა შემოწმების მიზნით წელიწადში რამდენჯერმე ტარდებოდა ასეთი პირველობები და ვიქტორი, თავის მეწყვილეებთან ერთად, მსგავსი ტურნირების რვაგზის გამარჯვებულია... საბჭოთა წაკრების შერჩევის სისტემა იქით იყოს და, ის, რომ მიუნხენის შემდეგ შედეგები გაუუარესდა, ამაში თვით ვიქტორის საოჯახო ამბებსაც მიუძღვდა ბრალი. მამამისი ივანე, უწყინარი და მშრომელი ადა-



მიანი, რაღაც შემთხვევის გამო სამი წლით აღმოჩნდა საპატიმროში. აფორიაქებული ვიქტორი სპორტს ადრინდელზე ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. თუმცა, დიდი ნიჭის გამო, კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე ირიცხებოდა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში, თვით 1978 წლამდე, მაგრამ მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ, როცა 1973 წელს გორბაჩოვი სხვა ნავში გადაჯდა (თუ გადასვეს), მისთვის აღარ მოიძებნა ღირსეული მენყვილე. საქმე ისე წარიმართა, რომ თითქოს ირგვლივ ყველაფერი ვიქტორის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

„ოლიმპიადის შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი არასპორტული დემარშები — შეხვედრები აღმასკომში, ქალაქებში, სკოლებში... ოლიმპიურმა ჩემპიონმა თანდათან დაკარგა სპორტული ფორმა“, — ამბობს გიორგი ბუკია.

„მიუნხენის შემდეგ ვიქტორი როგორდაც უცებ ჩაქრა,“ — ირწმუნებიან სხვა ფოთელი სპეციალისტებიც, მაგრამ თუ საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა, რომლებსაც ფართო არჩევანი ჰქონდათ, ნაადრევად ჩაიქნიეს ხელი ვიქტორზე, საქართველოში მაინც ხომ მართებდათ ბრძოლა მათ, „ვისაც ჯერ არს“. მაგრამ რაც მისგან მივიღეთ, ისიც საკმარისია, თქვეს და ასეც წარიმართა ოლიმპიური ჩემპიონის შემდგომი ცხოვრება. ადამიანი, რომლის სახელი და გვარი იყო ვიქტორ კრატასიუკი, საქართველოში, ფაქტობრივად, მხოლოდ ახლობელ-მეგობრებსა და სჭირდებოდათ, მათ შორის ფოთშიც. კაცი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ერთი-ორჯერ მოამაგე მწვრთნელსაც დაემდურა.


მორიგი ფრაგმენტი ვანო ნარმანიას წერილიდან:

„ნელ-ნელა ჩამოვშორდი დიდ სპორტს, — აგრძელებს საუბარს ვიქტორი, — დამეწყო დეპრესია. გარკვეული პერიოდი მწვრთნელად ვიმუშავე, ახალგაზრდებს ვავარჯიშებდი. შევქმენი ოჯახი. დავამთავრე თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. გამიჭირდა მატერიალურად. ძრავის შემკეთებლად დავიწყებ მუშაობა. გარკვეული პერიოდი ცეცხლფარეშად და სახინკლეშიც კი ვიმუშავე, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა მაინც ვერ გავიუმჯობესე. შემდეგ უკრაინაში გავემგზავრე სამუშაოდ, ცოტა სული

კრატასიუკი-გორბაჩივის  
ნაემა მიუნხენის ოლიმ-  
პიურ არხში წინასწარ  
გაცურვაში კილომეტრიან  
დისტანციაზე 3 წუთი და  
42,18 წამი აჩვენა, ნახე-  
ვარფინალში — 3 წუთი და  
30,69 წამი, უინალში კი ამ-  
დენიც არ დასჭირვებიათ,  
ისე გაიმარჯვეს შედევით  
— 3 წუთი და 31,23 წამი.

მეორე ადგილზე გასულმა  
უნგრელთა წყვილმა —  
ოოუეფ დემეზ და იანოშ  
რატკამზ 3 წუთი და 32 წა-  
მი აჩვენეს, მოლონელებმა  
— ვლადისლავ შემკე-  
ვიჩმა და რაფაელ პიზჩიმ  
კი კილომეტრიან დის-  
ტანცია 3 წუთსა და 33,83  
წამში დაფარეს.

ნიკოლაი გორბაჩივი და  
ვიქტორ კრატასიუკი  
ოლიმპიურ თამაშებზე  
გამარჯვების შემდეგ.  
მიუნხენი, 1972 წელი





მოვითქვა-მეთქი. ასფალტს ვაგებდი, მაგრამ ვერც ამან მიშველა. ბოლოს ფოთის საოცეანო თევზჭერის სამმართველოში მოვხვდი და დავრჩი უმუშევარი. ქალაქის მერიამ ყოველთვიურად 50 ლარი დამინიშნა გრანტის სახით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ, მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ, ოჯახს დღეს ეს თანხა რამდენად ეყოფა. თანაც ორი შვილი მყავს. ჩემი ქალიშვილი 17 წლისაა, ბიჭი კიდევ 15-ის. ვალებიც დამიგროვდა. პავშვებს ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა სჭირდებათ. მე კი, დიდი სურვილის მიუხედავად, არც სამუშაო მაქვს და არც მისი შოვნის პერსპექტივა. ნახევრად მშიერი დავდივარ. არადა, ჯანი და ენერგია არ მაკლია.

ოლონდ ფული იყოს და, არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობდი.

მართალი გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქამდე მივიდოდა ჩემი საქმე. მე ხომ ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი შესაძლებლობა სამშობლოს, ჩემი რესპუბლიკის, ჩემი მშობლიური ქალაქის დიდებას შევწირე.

არადა, მეც შემეძლო თავის დროზე სარფიანი საქმე „გამეჩალიჩებინა“. დღეს არავის ვჭირდები. ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ კრატასიუკი უბრალო ვიტია გავხდი. აქ მარტო ჩემით ნუ შევხედავთ ამ პრობლემას. საერთოდ შეიძლება, რომ ჩემი კატეგორიის ხალხს ასე უჭირს ცხოვრება?..”

თუმცა, მიუნხენიდან ჩამოსულს თბილისსა თუ ფოთში ისე დახვდნენ, როგორც საერთოდ ხვდებიან ოლიმპიურ ჩემპიონებს. მაგრამ „ოსტროველები“ რის „ოსტროველები“ იქნებოდნენ, მათი დახვედრა სხვებზე ნაკლები ყოფილიყო. როცა გერმანიაში ვიქტორის ტრიუმფი შედგა, თითქმის მაშინვე გადაწყდა ფოთში სახელოვანი თანაქალაქელისთვის ახალი ბინის გამოყოფა. „მაშინვე დამირეკეს ამის თაობაზე, — მეუბნება გივი ტიკარაძე, რომელიც იმ დროს პორტის კომუნალური განყოფილების უფროსი იყო, — აი, ამ კორპუსში, ყოფილი ლენინის ქუჩაზე (ახლა დავით ალმაშენებლის ქუჩაა, - ავტ.) მივეცით ბინა მესამე სართულზე“.

კორპუსის მეზობლებმა საგანგებოდ დაამზადებინეს ოლიმპიური ჩირალდანი, ვიქტორს ეზოში შესვლამდე სპორტული სამოსის ჩაცმა სთხოვეს, იქაურობა წინდანინ გააჩირალდნეს და კაი 200-კაციანი სუფრა დაახ-

ვედრეს. ძალიან კარგი და დასამახსოვრებელი მხიარულება იყო, — იხსენებენ იმ იშვიათ პურობას მეზობლები.

შემდეგ ვიქტორის ოლიმპიური დიდება თანდათან დაეშვა ყოფით დონემდე, მაგრამ მისი ანარეკლი უცხოეთში ყოფნისას უფრო დაუნახავს და არა საკუთარ ქალაქში, რაც სამწუხარო რეალობაა.

საქმე ისაა, რომ მრავალი პროფესიის გამოცვლის შემდეგ ორი წლის მანძილზე საოკეანო თევზჭერის გემზე ცურავდა, ჯერ „საქართველოზე“, მერე „ახმეტაზე“, უკვე ვთქვით, რიგით მატროსად. ცურვა მოუწია თავის მეზობელთან, რომელსაც ფოთის ნავსადგურიდან საოკეანო ხომალდებზე გადაენაცვლებინა.

გივი ტიკარაძე: „სახელმწიფო შეკვეთები გვქონდა. ვიჭერდით სკუმბრიას, სტავრიდას, ხევს, კალმარს, სარდინს... ვიქტორი არაჩვეულებრივი მატროსი იყო და ძალიან კარგი პიროვნება. გემზე არ ყოყლოჩინობდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი იყო. ლირსეულად ეჭირა თავი. ძალიან უყვარდა ანეკდოტების მოყოლა ოლიმპიურ ჩემპიონებზე. ასევე უყვარდა კითხვა. ბევრჯერ მინახავს გემზე წიგნით ხელში... რა დასამალია, გემზეც იყო დალევის სამუალება, მაგრამ ვიტია არ სვამდა, ყოველთვის თავს იკავებდა. მხოლოდ ხმელეთზე, როგორც სხვა მატროსები...“

ერთხელ ლას-პალმასში ბარში იცნეს, მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილეები ყოფილან. თან იქ ვიღაც ჩემპიონმა კრატასიუკი ახსენა. სამი დღე დაჰყავდათ პურ-მარილებზე. ერთხელ კასაბლანკაში ფან-კლუბში შევიდა. ოლიმპიური ჩემპიონების გულშემატკივართა კლუბი იყო და არა ფეხბურთელებისა. იქ ვიტიას სურათიც ეკიდა. ბარმენს უთხრა ეს და იმან არ დაიჯერა, რომ თვალინი სწორედ ჩემპიონი ედგა. დაბრუნდა ვიტია გემზე და იქიდან იტალიური ოლიმპიური ნიშანი მიუტანა. იმ ბარმენმა საპატიო სტუმარს ბანკეტი გადაუხადა და ავტოგრაფები დაატოვებინა...“

ბანკეტი გემზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ვიქტორ კრატასიუკს დაპატიუება მშობლიურ ქალაქში ნამდვილად არ აკლდა, განსაკუთრებით მიუნხენის შემდეგ. მასთან ერთად სუფრაზე ჯდომა ეამაყებოდათ და იყო ერთი გა-



დაპატიუება თუ ბოთლების გაგზავნა. ვიდრე სპორტში იყო, ამას, ცხადია, შედარებით იშვიათი და უფრო, ასე ვთქვათ, სოლიდური სახე ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ასეთი შემთხვევების რიცხვიც გაიზარდა და განურჩევლობის ხარისხიც. ასეთი მდგომარეობა კი ვიქტორის ხასიათისა და ბუნების მქონე კაცისთვის თანდათან დამღუპველი ხდებოდა...

მომავალი მეუღლე დნეპროპეტროვსკში გაიცნო 1976 წელს, საკავშირო საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას. მაშინაც საჩემპიონო სიჯიუტე გამოუჩენია.

ელენა კრატასიუკი: „ჩვენთან, დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ ნოვომოსკოვსკში, საბჭოთა ნაკრების ოლიმპიური მომზადების ბაზა იყო ნიჩბოსნობაში და ტანკარჯიშში. მხოლოდ ბაიდარითა და კანოეთი ვარჯიშობდნენ ნიჩბოსნები. სამი გოგო მოვდიოდით ქუჩაში. ვიქტორმა შემოგვხდა და ჩემკენ გამოიშვირა ხელი. ეს გოგო ჩემი ცოლი გახდებაო, — ამხანაგებს უთხრა. მერე ჩანთების წალებაში დაგვეხმარა. მალე ხელი მთხოვა, მაგრამ მეათე კლასში ვიყავი და უარი უუთხარი. სამი წლის მანძილზე გვქონდა მიმოწერა, 1979 წელს კი დავქორწინდით.

ძალან მალე შევეჩვიე ფოთს. 1980 წელს შეგვეძინა ოქსანა, 1982 წელს — პეტრია (პეტრეს, მამისადმი პატივისცემის ნიშნად, ვიქტორსაც ეძახიან, - ავტ). მაშინ კი, დაქორწინების შემდეგ, სიონის წყალსაცავზე გავემგზავრეთ. წარმოიდგინეთ, 29 მაისს დავქორწინდით, 31-ში კი უკვე სიონში ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე. მაშინ ვიქტორი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. სპარტაკიადამდე ნახევარი წლით ადრე ჩააბარეს მობაიდარეთა გუნდი. ეს ძალიან მცირე დროა და შედეგებს ვერ მიაღწიეს. ამის გამო მოხსნეს და მისი კარიერაც, როგორც მწვრთნელისა, ამით დამთავრდა. მაშინ დაეცა სულით. მანამდეც სვამდა, მაგრამ ჩვეულებრივად, როგორც სხვა კაცები. მუშაობაც შეეძლო, მაგრამ შემდეგ... ვინ აღარ სვამდა, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ, ვიქტორი კი ყველას თვალწინ იყო... ჩვენ შორის განსხვავება 11 წელი იყო და ოჯახსაც ვერ დაუდო გული..."



ზამთარში გაუყინავი  
საწყლოსნო ბაზები სა-  
ნატრელი იყო რესერვისა  
და, სეროოდ, ჩრდილოე-  
ლებისთვის. ფოთში კი იმ  
დროს შეიძინებოდა სანიჩბოსნო

ბაზა არსებობდა; იყო  
„ვოლიერის“, „დანამის“,  
სამხედრო-საზღვაო  
ფლოტის და სხვა ბაზები.  
საქართველოსაც ჰქონდა  
თვითი რესპუბლიკური  
ბაზა. მათგან უმთავრესი  
იყო „ვოლიერი“ რომელი,  
სწორედ კუნძულის საზ-  
ღვარზე, სადაც დაიწყო  
ვარჯიში მომავალმა  
ოლიმპიურმა ჩემპიონმა.



ოჯახის ისტორია სხვებისთვის უღრანი ტყეა, მაგრამ, რა დასამალია, ფოთში მათ ქორწინებას ბევრი უილბლოს უნოდებს არაერთი მიზეზის გამო, თანაც ორმხრივის...

როცა საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ ვიქტორი, როგორც მწვრთნელი, მუშაობას ვერ გააგრძელებდა (ისიც მითხრეს, სამწვრთნელო ასპარეზზე ნაკლები მონდომება გამოიჩინა, „ხმელეთიდან“ ნიჩბოსნობას როგორდაც გული ვერ დაუდოო), ქალაქის მესვეურები დაინტერესდნენ, როგორც მაშინ იტყოდნენ, მისი შრომითი მოწყობის საკითხით. ქალაქეკომის მდივანმა, ქალბატონმა ნინო ლაკიამ პარტიულ ბიუროზე მიიჩვია. „ხელმძღვანელობაშიც პატივს სცემდნენ. რა ადგილი შევთავაზოთო — ვაჭრობაში თუ... სხვა სფეროებზეც იყო საუბარი, — იხსენებს პირდაპირ ვოდევილურ ამბავს გივი ტიკარაძე, — ვიქტორ, სადაც ისურვებ, ყველანი შენთან ვართ და იქ გაგიშვებთო, — უთხრა ქალბატონმა ნინომ.

„მე დიდი თანამდებობა არ მინდა, ჩემს კორპუსში „კაჩეგარად“ გამიშვითო“, — უთხრა ვიქტორმა ქალაქეკომის მდივანს. ჯერ პირი დააღეს და მერე ყველამ სიცილი დაიწყო. ასეთი კაცი იყო ვიტია. მერე ქალაქის პროკურორი თამარ კიკნაძე ადგა და, — ამხანაგებო, ერთი კითხვა უნდა დავსვაო, — ვიქტორს მიმართა: სპორტში ასეთ სიმაღლეებს მიაღწიე და ამის შემდეგ ცეცხლფარეშად როგორ იმუშავებ, სტუმრები რომ ჩამოვლენ და მოგიყითხავენ, რა პასუხი გავცეთო. „თქვენ ნუ შენუხდებით, ვიმუშავებ“, — უთხრა ვიქტორმა. „თავმდაბლობა მუდამ სჩვეოდა. მიუნხენის შემდეგ ცხვირი არ აუნევია. პირიქით, უფრო თავმდაბალი გახდა“, — მეუბნება ვანო ნარმანია.

სამ დღეში გაუთავისუფლეს „თანამდებობა“ და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცეცხლფარეშად დაიწყო მუშაობა. ეს ალბათ პირველი ასეთი შემთხვევა იყო მსოფლიოში. ორი წელი იმუშავა „კაჩეგარად“. ადრე ამ ადგილას მამა-მისი ივანე მუშაობდა.

საერთოდ, ვიქტორ კრატასიუკს არც ერთი სამუშაოს შესრულება არ ეთაკილებოდა. დაუზარელი იყო და არაფერზე იხევდა უკან. ბავშვს რომ



ეთხოვა, იმასაც გაუკეთებდა საქმეს. მისი მეუღლის თქმით, ხანდახან ერთდღოულად სამ-ოთხ ადგილას მუშაობდა. კატარლის ძრავის ისეთი ოსტატი ყოფილა, თვალდახუჭული შლიდა და აწყობდა. მთელი ფოთიდან მიჰქონდათ ვიქტორთან ძრავები. თითქმის ყველას იცნობდა და ფულის გამორთმევა ერიდებოდა. გასამრჯელოდ კი ხშირად სასმელს უტოვებდნენ.

ისეთ კაცს, როგორიც ვიქტორ კატასიუკი იყო, ყველგან ჰყავდა მეგობრები და ყველგან შეეძლო წასვლა — ჯერ როგორც სპორტსმენს და მერე არც მწვრთნელობისთვის ითაკილებდნენ ოლიმპიურ ჩემპიონს. საიდან არ ჰქონდა მიწვევა, გინდ მოსკოვი აილეთ და გინდ კიევი, მით უმეტეს, გვარი უკრაინული ჰქონდა. „ოლიმპიური“ მეწყვილე გორბაჩოვიც ეპატიურებოდა თავისთან, მაგრამ...

„ფოთი უყვარდა ძალიან და ეს მაცოფებდა. იმ დროს შეეძლო საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქში გადასვლა. საკმარისი იყო თითით ეჩვენებინა და ყველგან კარგად მიიღებდნენ — ბინა, მანქანა, კარგი სამსახური გარანტირებული ექნებოდა. მაგრამ მე ფოთელი ვარ, „ოსტროველი“, აქ დავიბადე და აქ მოვკვდები, ვერსად წავალო, — არაერთხელ გამომიცხადა,“ — მეუბნება ელენა კრატასიუკი.

„ცხოვრებაში იმანაც შეუშალა ხელი, რომ ამაყი და ამავე დროს მორიდებული კაცი იყო. როგორ უნდა მივიღე ვინმესთან და ვთხოვო, მე ვარ ვიქტორ კრატასიუკი და დამეხმარეთო. სხვები დარბოდნენ მის საქმეებზე,“ — ისენებენ მეზობლები.

„მართლაც ძალიან ამაყი იყო. საკუთარი თავისთვის არავის კარზე არ დაუკაცუნებია, სხვებისთვის კი, იცოცხელეთ, რამდენიც გინდათ. 80-იანი წლების დასაწყისში ოთარ ბუაძე იყო „დინამოს“ ბაზის დირექტორი და მოხსნეს. ვიქტორი ღამით მიადგა ბაკურ გულუას (ქალაქეომის მაშინდელი მდივანი — ავტ.) და ყველაფერი უამბო დირექტორზე, როგორი ადამიანი იყო. არც მისი შეცდომები დაუფარავს. მაგრამ ნათლად აუხსნა, თუ რამდენს აკეთებდა ეს კაცი სპორტისთვის. ბუაძე პოსტზე დატოვეს“, — ქმრის კიდევ ერთ „უცნაურ“ საქციელზე საუბრობს მისი მეუღლე.

ისიც სათქმელია, რომ არც მწვრთნელობაში ეყარა ხეირი, ყოველ შემთხვევაში, მისთვის, — რაღაც კაპიკებს იღებდა. სპორტულ წრეებში, უფრო ზუსტად, ხელმძღვანელობაში მაინც ფიქრობდნენ, მისთვის რაიმე თანამდებობა გამოეძებნათ, რომ ისევ სპორტში ყოფილიყო, მაგრამ ზოგმა მისი გვარი დაინუნა, ზოგმა კიდევ... რომელიმე სპორტული ბაზის ხელმძღვანელობა, მუშაობა ქალაქის სპორტკომიტეტში — არაფერი გამოვიდა. და ვიქტორის ცხოვრება მკვეთრად დაქანდა ქვევით, უფსკრულისკენ.

იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მის შველას მატკავას გარდა არავინ ცდილობდა. დროდადრო ეხმარებოდა ვალერი გეგიძე, ნავსადგურის უფროსი და ძველი ნიჩბოსანი. ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარებოთარ ხომერიკმა ყოველთვიური დახმარება 50 ლარი დაუნიშნა. ასევე ეხმარებოდა ბატონი ოთარის კოლეგა ბორის გოგიჩაიშვილი. ერთხანს საქართველოს სპორტკომიტეტიდანაც უგზავნიდნენ ხოლმე 100 ლარს. ვიდრე „ვოდნიკში“ მუშაობდა, იქიდანაც იღებდა ამდენივეს.

„მაგრამ ეს ფული სახლამდე ვერ აღწევდა,“ — ამბობს მისი მეუღლე. ლუდსანასთან ან სადმე სხვაგან ვიქტორს ყოველთვის ელოდნენ ამფსონები. ისიც კეთილი, გულუხვი კაცი იყო და ასე ქრებოდა ძველი დამსახურებისთვის მიწოდებული სამოწყალო ლუკმა. საოცარია, მაგრამ ყველაზე დიდი ხელფასი, რომელიც კი ჰქონია სპორტიდან წასვლის შემდეგ, ცეცხლფარეშის ჯამაგირი იყო.

ვიდრე მამა ცოცხალი ჰყავდა, კიდევ შეიძლებოდა ცხოვრების შემოტრიალებაზე ფიქრი, მაგრამ შემდეგ მთლად უიმედო გამხდარა. დედა უფრო გვიან, 1996 წელს გარდაეცვალა.

ფოთში მისი ოჯახის მიმართაც გამოიქვამენ საყვედურს. ფოთი კი პატარა ქალაქია და ყველამ ყველაფერი იცის. გარდა ამისა, მისი მეუღლე და ქალიშვილი ოქსანა 2000 წელს, შემდეგ კი, 2002 წელს, პეტრეც უკრაინაში, დნეპროპეტროვსკში გაემგზავრნენ და ვიქტორი მარტი დარჩა თავის სახლში.

როცა ეს ბინა მოვინახულე, მხოლოდ ცარიელი კედლები დამხვდა — ბოლო წლების ცხოვრების საშინელი ნამუსრევის კვალი. დანარჩენი ყვე-



ლაფერი გაეყიდა. „ასე დაგვხვდა სახლი“, — მითხრა მისმა მეუღლემ, რომელმაც შემდეგ ასე ახსნა უკრაინაში მათი გამგზავრების მიზეზი.

ელენა კრატასიუკი: „2000 წელს ჩემს გოგოსთან, ოქსანასთან ერთად უკრაინაში გავემგზავრე. მინდოდა მას იქ ესწავლა. პეტია აქ დარჩა და მოგვიანებით ჩამოვიდა. ვიქტორსაც არაერთხელ ვთხოვე წამოსულიყო. უკრაინაში უფრო სტაბილური სიტუაცია იყო, იქ ნგრევა არ ყოფილა და სამუშაოს ადვილად იშოვიდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურდა. მეტისმეტად ნაადრევად დაიღუპა. ჩვენთვის ძალიან მოულოდნებლი იყო ეს — 2003 წლის 17 მარტს და ზუსტად მამის დაბადების დღეს, 23 მარტს დაკრძალეს. კაპიკ-კაპიკ შევაგროვეთ ფული დაკრძალვაზე ჩამოსასვლელად. 200 დოლარი ბიძამისმა ანდრეიმაც გამოგვიგზავნა. ოქსანა ვერ ჩამოვიდა ფოთში, ჩვილი ბავშვი ჰყავდა. ვიქტორის უფროსი და ალა კი ფსკოვში ცხოვრობს. 1992 წლიდან მათ ერთმანეთთან თითქმის აღარ ჰქონდათ კავშირი“.

ოქსანა ქუთაისშია გათხოვილი მირზა მშვილდაძეზე. ვიქტორს ორი შვილიშვილი ეზრდება, ოთხნახევარი წლის მარიანა და ორი წლის დავით მშვილდაძეები. ვისაც კი ფოთში ველაპარაკე, ყველა კარგად ახასიათებდა ვიქტორის ქალიშვილს, ყოველთვის კარგი გოგო იყოო.

ოქსანა კრატასიუკი: „მამა, უბრალოდ, ძალიან კარგი ადამიანი იყო. მთელი ქალაქი, მთელი საქართველო იცნობდა, მაგრამ მე ამას ვერ ვგრძნობდი, იმდენად უბრალო კაცი გახლდათ. არავის აწყენინებდა, გულს არ ატკენდა... კარგი მოქალაქე იყო თავისი ქვეყნისა. და ასეთ კაცს არც ქალაქმა, არც საქართველოს სპორტკომიტეტმა თუ სამინისტრომ საჭირო ყურადღება არ მიაქცია, არ მისცეს საშუალება ემუშავა მწვრთნელად. ადამიანს, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა ქვეყანას, არ დაეხმარნენ, რომ ფეხზე დამდგარიყო.

მწვრთნელობა მართლაც ძალიან უნდოდა. ეს იყო მისი შემდგომი ცხოვრების აზრი. ბოლოს და ბოლოს, კაცს სამუშაო სჭირდებოდა. როგორი ამბავია თავმოყვარე კაცისთვის, რომ შვილს, ჩემ ძმას — პეტიას უფრო მეტი მოჰქონდა ოჯახში, ვიდრე მას. თუმცა, ოჯახს მაინც არ უჭირდა. ყუ-



ვიქტორ კრატასიუკი  
და ავერი მატკავა



ავერი მატკავა:  
„ფოთში, რომის ნაპირზე,  
მწერთნელს არ გაუჭირ-  
დება ფეხბურთელებისა  
და ნიჩბოსნების ამორ-  
ჩევა ძალ-ღონით საცსე,  
მკვირცხლ, დაუდევგარ და  
მზისგან გარუჯულ ბიქებ-  
ში. ბევრი მათგანი თით-  
ქოს დიდი სპორტისთვის  
არის დაბადებული. ვიქ-  
ტორი ერთ-ერთი ყველაზე  
ნიჭიერი აღმოჩნდა მათ  
შორის. როცა ჩვენთან,  
ნყალვომარდობის საღ-  
გურში მოვიდა, თექქსმე-  
ტი წლისა იყო. თავიდანვე  
თვალში მომივიდა.“

რადღება რომ არ მიაქციეს და საყვარელი საქმე არ აღირსეს, აქედან დაიწყო მისი ყველა პრობლემა. აქედან დაიწყო სმა. ოლიმპიური ჩემპიონი ცეცხლფარეშად და რიგით მატროსად?..

მაგრამ ისეთი ადამიანი არ იყო, რომ დაეჩივლა. საკუთარ თავში, არაყსა და ღვინოში ახრჩიბდა ყველაფერს.

ფოთში იმასაც ამბობენ, ოჯახმა მიატოვაო. მინდა თვალებში ჩავხედო მათ, ვინც ამას ამბობს. მე უკრაინაში სასწავლებლად წავედი. მეტალურგის აკადემიაში ვსწავლობდი. მამა ავად თუ იყო, არაფერი ვიცოდით. მისი ბიძაც რატომლაც არ გვატყობინებდა. იმ დღეს, როცა დაიღუპა, ჩემი წერილი წაუკითხავს. სულ ბოლოს უკრაინაში გამგზავრების წინ ვნახე მამა. ცრემლი მოერია, უკანასკნელად გხედავო. წინათგრძნობა ჰქონდა (ოქსანას თვითონაც მოერია ცრემლი - ავტ.)... ფოთის საპატიო მოქალაქედ რომ აირჩიეს — ეს ზამთარში მოხდა, ჩემს გამგზავრებამდე, — სიხარულისგან მეშვიდე ცაზე იყო, რომ ისევ გაიხსენეს. ცხოვრებაში რამდენი გაჭირვება ჰქონდა, რამდენი პრობლემა, მაგრამ არც თავისი სინდისი გაუყიდია, არც სული და არც ოლიმპიური მედალი. ცხოვრებაში მამაზე უკეთესი ადამიანი არ შემხვედრია, მისი სიყვარულით გავიზარდე.

მე უფრო რბილად გეუბნებით, თუ როგორ მოექცნენ მას. ჩემი ძმა ურესებს გეტყვით“.

პეტრე, ვიქტორის შვილი, მყვინთავად მუშაობს ფოთში. ხშირად არის ზღვაში, გამოძახებებზე. სპორტში მასაც უცდია ძალა, მაგრამ ნააღრევად მიუტოვებია ვარჯიში. ოლიმპიური მედლის ამბავიც, რომელიც ვიქტორმა უკიდურესი გაჭირვების დროსაც არ გაყიდა, ცალკე ისტორიაა. ანდრეი შერაბაკის თქმით, როცა ვიქტორი მამამისის სახლს ყიდდა, წინასწარ ვალების აღება დაიწყო. ის ფულიც ნაწილ-ნაწილ გამოართვა მყიდველს, ას-ორას დოლარობით, რომელიც ისევე ქრებოდა, როგორც ვალად აღებული თუ უფრო ადრე, ლარებში გამოყოფილი მწირი დახმარება — ამფსონებთან, სასადილო-რესტორნებში და ვიქტორმა ვერც აქედან ნახა ხეირი. ბიძამისი იმასაც ამბობს, რომ ფულის დარჩენილი ნაწი-



ლი ბანქში შეატანინა, მაგრამ ვიქტორს პროცენტები აღარ ეყო და მთელი ფული უკან გამოიტანა.

ზოგჯერ თვითონაც აშკარად გრძნობდა, რა გზას ადგა ოლიმპიური ჩემპიონი, თავმოყვარე კაცი, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო თავის შეკავება. მშველელიც არ ჩანდა. ბოლოს უკვე აღარ მუშაობდა. ხანდახან ძველი მეგობრები ეძახდნენ, უმასპინძლდებოდნენ, ფულსაც აძლევდნენ, მაგრამ ეს მაინც ბოლო წლების უსახელო არსებობის დასასრული იყო. დროის კვალობაზე, მცირდებოდა ასეთი ეპიზოდური დახმარების მაგალითებიც. „მაშინ უკვე ძალიან უჭირდა, საჭმლის ფულიც არ ჰქონდა ხოლმე. როგორც შეგვეძლო, ვეხმარებოდით. იმაზე მიდგა საქმე, როგორმე ერჩინა თავი. აი, ეს იყო“, — მითხვა დასასრულს ანდრეი შკრაბაკიმ. ვიქტორის ბიძა იმასაც ამბობს, რომ ის ძალიან განიცდიდა ოჯახისგან შორს ყოფნას, — ჩემი ახლობლები აქ არ არიან, აღარ ჩამოვლენო — დარდობდა და სვამდაო.

მისი ჯილდოები ბიძასთან ინახებოდა. სახლში რამდენჯერმე შეიპარნენ ქურდები ოლიმპიური ოქროს მედლის მოსაპარად, მაგრამ საამაყო ჯილდო გადარჩა. ერთხელ მთვრალი ვიქტორი სერვანტში რაღაცას ეძებდა და შემთხვევით ჯილდოებით სავსე სამლიტრიანი ქილა გაუტყდა, რის შემდეგაც ანდრეი შკრაბაკი ხუთი წლის მანძილზე მას სხვენში ინახავდა. ეტყობა, ამიტომ ვერ მიაგნეს ქურდებმა.


შკრაბაკის თქმით, მათთან არაერთხელ მისულან წინადადებით, რადგინდათ სახლში მედალი, მუზეუმიდან მოვლენ, შეაფასებენ, თანხას გადაგიხდიან და მედალი ჩვენთან შეინახებათ. ვიქტორი თანახმა ყოფილა, თუ ჩემი მედალი ქალაქს, ფოთელებს დარჩებათ. დაკრძალვის წინ კი ისე წაუღიათ მიუნხენის ოქრო, ხელწერილიც არ დაუტოვებიათ. ბალიშზე დასვენებული მედალი „მიაცილებდა“ მის მომპოვებელს უკანასკნელ გზაზე. ამის შემდეგ ვიქტორის ბიძამ იმ მედლისა არაფერი იცის, არც ქალიშვილმა. სულ 1,2 კილოგრამი წონის მედლები წაუღიათ მუზეუმის სახელით და ახლობლებს ძალიან უნდათ გაიგონ, სად არის ჯილდოები.

ოქსანა კრატასიუკი: „ერთი წლის წინ ვიყავი ფოთში. მერე ჩემი ძმაც მივიდა. სეიფშია და გასაღები ვილაცას აქვს წაღებულიო, — სასტიკ უარზე დადგა დირექტორი. გასაღების პატრონის მისამართი ვიკითხე, მაგრამ მედალი მაინც არ გვაჩვენეს. სულ ახლახან ისევ ვიყავი ფოთში და იგივე გამეორდა, თუმცა კატეგორიულად მოვითხოვე მამის ოლიმპიური ჯილდო ეჩვენებინათ. მერე მითხრეს, ცნობა მოიტანე, რომ მედალი თქვენ გეკუთვნითო. სხვა რა გზა მაქვს, უნდა მივუტანო, ოღონდ იმ მედლის ამბავი გაირკვეს“.

ხანდახან ვიქტორი სპორტისშემდგომი, არც ისე დალაგებული ცხოვრების პირობებშიც ავლენდა ძველ წრთობასა და ხასიათს. მისი მეზობლები, ბორის კილასონია და სხვები მიამბობენ რამდენიმე ასეთ ეპიზოდს.

ერთხელ ვიქტორი ნასვამი ყოფილა და ქუჩაში ჩხუბს შესწრებია. მოჩხუბრები გაქცეულან და პოლიციელებს ის შერჩენათ ხელში. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ხელი სტაცეს და განყოფილებაში წათრევა დაუპირეს. თავმოყვარე ჩემპიონმა ასეთი უდიერება ვერ აიტანა და ნესრიგის დამცველებს მისდგა. ექვსნი თუ შვიდი ყოფილან, მაგრამ ვიქტორმა სათითაოდ ჩატენა მათსავე მანქანაში. „თავის გრძელ ხელებს რომ დაატრიალებდა, მარტო უნდა გენახათ. შვიდი-რვა კაციც უცემია, თვითონ შევესწარით“, — ამბობენ მეზობლები.

უფრო ადრე ვიქტორი და მისი მეგობარი ალექსანდრე (შურიკა) ბოლქვაძე სუფსაში ყოფილან თავის დებთან ერთად. იქაურ უსაქმურებს, „პირუავიკებს“ რომ ეძახდნენ, უდიერი რაღაც უთქვამთ ქალების მისამართით. ბოლქვაძე მოშორებით ყოფილა. ვიქტორმა მათ წესიერებისკენ მოუწოდა, მაგრამ ერთი მაგარი ჩააფარეს სახეში. სახლში იყვნენ, რა ენაღვლებოდათ. დარტყმა ასეთი არ უნდაო და, გაბრაზებული ვიქტორი სუფსელებს დარევია. ისე, ჩვეულებრივ, მასზე უწყინარ კაცს ვერ ნახავდით. მოკლედ, იმ ბიჭებს შავი დღე აყარა, თან ჩხუბის დროს სიხალვათისთვის ქურთუკიც გაიძრო. უკვე ნაცემმა სუფსელებმა თვალი მოჰკრეს დიდ გერბს მის მკერდზე და მერელა მიხვდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. ბოლმიანები არ აღმოჩნდნენ



ავერი მატეაგა:  
„შევხედე თუ არა,  
მომენონა. მაშინ საქარ-  
თველის ნაკრების  
უფროსი მწვრთნელი  
ვიყავი საბაიდარი ნიჩ-  
ბოსნობაში. ბევრი კარგი  
სპორტსმენი მყოლია,  
მაგრამ ვიქტორზე  
კარგი მონაცემები  
არავის ჰქონია“



ელენა ერატასუეკი:  
„2000 წელს ჩემს გოგოს-  
თან, ოქსანასთან ერთად  
უერაინაში გაეცემ ზაფრე.  
მინდოდა მს იქ ესაფ-  
ლა. პეტრა აქ დარჩა და  
მოგვიანებით ჩამოვიდა.  
ვიქტორსაც არაერთხელ  
ვთხოვ წამისულიყო.  
უკრაინაში უცრო სტა-  
ბილური სიტუაცია იყო,  
იქ ნერევა არ ყოფილა და  
სამუშაოს ადვილად იშო-  
ვიდა, მაგრამ არაფრის  
გაგონება არ სურდა.“





ვიქტორ ერატასიუე  
შვილებთან —  
ოქსანასთან და  
პეტრესთან ერთად

ის ბიჭები, ვიქტორი და იქ უცებ მოვარდნილი ბოლქვაძე რესტორანში დაპატიჟეს, კარგად აქეიფეს და ფოთში სახლამდე მიაცილეს...

მაგრამ რაც დრო გადიოდა, ნავში ჩაჯდომაც კი უჭირდა. „ერთხელ ჩვენთან ნასვამი მოვიდა, ნავში ჩამსვითო. უარი ვეღარ ვუთხარით, თუმცა სკოლაში ბავშვები გვყავდა. რამდენიმე მეტრი გაცურა და ნავი გადაუტრიალდა. ამოვიდა წყლიდან, ისევ უნდა ჩავჭდეო. ადრე, როცა ვიქტორი სპორტსმენი იყო, ბრტყელი ნიჩებით ცურავდნენ, კოვზისებრი ნიჩები მერე შემოვიდა, მისთვის უჩვეულო იყო და აღბათ ამიტომ კიდევ გადატრიალდა. გაოცებულმა ბავშვებმა იკითხეს, ვინ არისო. ხომ არ ვეტყოდით, ოლიმპიური ჩემპიონია ნიჩბოსნობაში-თქო. ვიღაცაა, ადრე ვარჯიშობდაო, — ესლა ვუთხარით პატარა ნიჩბოსნებს,“ — ამ ტრაგიკომიკურ ამბავს მიყვება წყლის სახეობათა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ფრიდონ ბირკაია.

— ვიდრე ცოცხალი იყო, თითქმის დავიწყებული ჰყავდათ, მით უმეტეს, სიცოცხლის ბოლოს. სიკვდილის შემდეგ კი იმდენი მეგობარი გამოუჩნდა, ვერ დაითვლიდი, — ესეც პირდაპირ მითხრეს მის მშობლიურ ქალაქში. „მეც კარგად ვიცი, მას მართლაც ძალიან უნდოდა მწვრთნელობა. საამისოდ, მაშინდელი გაგებით, ყველაფერი ჰქონდა — გამოცდილებაც, ოლიმპიური ჩემპიონობაც, ფიტნესურის ინსტიტუტის დიპლომიც — ყველაფერი სხვებზე მეტი ჰქონდა, მაგრამ ფეხებზე დაიკიდეს. ერთხელ ნახეს ნასვამი, ორჯერ და მიზეზიც მზად ჰქონდათ. მე ახლა ნიჩაბს აღარ ვუსვამ და ვიღას ვჭირდებიო, რამდენჯერ მითხრა გულდანყვეტით,“ — ჩვეული პირდაპირობით ამბობს ჯიმშერ ხოშაბაევი.

ოლიმპიური ჩემპიონი განგრენით გარდაიცვალა. ბოლოს სულ ფეხებს იტკივებდა. შესთავაზეს ფეხი მოეჭრა, რომ გადარჩენილიყო, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა. რაც არ უნდოდა, იმას არაფრით არ გააკეთებდა. „თუ მოვკვდები, ფეხიანად უნდა მოვკვდეო. ბოლო კვირა ვეღარ ლაპარაკობდა. ძილში გარდაიცვალა. აქ მხოლოდ მე და მეზობლები ვიყავით. ოჯახი მერე ჩამოვიდა,“ — ამთავრებს სევდიან ეპილოგს ვიქტორის ბიძა.



მერე კი ჩვენებური, ტრადიციული ამბავი გამეორდა, როცა ადამიანი მკვდარილა გაახსენდება ყველას. „მართლაც კაცურად დავკრძალეთ, — მითხრა ფრიდონ ბირკაიამ, — ადგილობრივმა ხელისუფლებამ 500 ლარი გამოყო, დანარჩენი ჩვენ ვიშოვეთ. კერძო ორგანიზაციებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომ გასვენებაც ღირსეული ყოფილიყო და ქელებიც.“

ბევრი ადამიანი შეენია ოლიმპიურ ჩემპიონს უკანასკნელ გზაზე. ნოდარ ჩარაევის შვილმა, ზაქრომ, დიდი ხარჯი გაიღო, ასევე ძველმა ნიჩბოსანმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა თამაზ ჩიტაიამ, ვიქტორის მეზობლებმაც, სხვა ადამიანებმა. პროცესიაც ხალხმრავალი იყო. ცოტა საფლავის საქმე გართულდა. უნდოდათ კუნძულის უბნის სასაფლაოს ცენტრალურ ნაწილში დაეკრძალათ, მაგრამ იქ თურმე ვიღაც ქურდი განისვენებდა და ახლოს საფლავი არ გაათხრევინეს. მხოლოდ განაპირას მოხერხდა. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და საფლავზე ჯერ კიდევ არაფერია. არც ბიუსტი. ალბათ ეს მაინც დაიმსახურა ფოთის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულმა ვიქტორ კრასატიუკმა. „სამარცხვინოა. ეს არ ეკადრება ოლიმპიურ ჩემპიონს. ბოლო გზაზე მაინც სათანადოდ გაეცილებინათ და საფლავი მოეწყოთ,“ — უკმაყოფილოა ვიქტორის ქალიშვილი.

2003 წელს ფოთის საკრებულომ გამოიტანა დადგენილება, რომ პლესანოვის ქუჩისთვის ვიქტორ კრასატიუკის სახელი მიენიჭებინათ. ეს ერთი სახსოვარილა დარჩა შესანიშნავ სპორტსმენს თავისი მშობლიური ქალაქისგან, რომელსაც თავისი დიდი სიყვარული და ერთგულების იშვიათი მაგალითი დაუტოვა.

## 30 იანვარის დღე

დაიბადა 1949 წლის 30 იანვარს ფოთში. ნიჩბოსანი, ბაიდარა. XX ოლიმპიური  
თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1971, 72 —  
ორადგილიანი ბაიდარა) და მექანიკი (1971 — ოთხმოსასმელიანი  
ბაიდარა). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.  
გარდაიცვალა 2003 წლის 18 მარტს.



### VIKTOR KRATASYUK

Oarsman, kayak-paddling, was born on January 30, 1949 in the city of Poti. He was a champion of XX Olympic Games (Munich, 1972), twice champion of the USSR (1971, 1972 – two-seater kayak) and bronze medalist (1971 – four paddle kayak). Kratasyuk was the USSR Honored Master of Sports. He deceased on March 18, 2003.